ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ნიკა ხარშილაძე

„ოჯახში ძალადობის პრევენცია და მოძალადის რეაბილიტაცია“

ხელმძღვანელი: მორის შალიკაშვილი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2019წ

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 4

თავი I. ოჯახში ძალადობის პრევენციის პრობლემები საკანონმდებლო დონეზე.....6

§1. დამცავი და შემაკავებელი ორდერები და მათთან დაკავშირებული პრობლემები 6

§2. ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებები 8

§3. სტამბულის კონვენცია და ოჯახში ძალადობის პრევენცია 11

თავი II. ოჯახში ძალადობის პრევენციის პრაქტიკაში არსებული პრობლემები.....1
3

§1. ოჯახური ძალადობის გამოვლენის პრობლემატიკა და მისი ლატენტურობა 13

§2. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული სახის შემთხვევები 16

2.1. მსხვერპლის და მოძალადის იდენტიფიცირების პრობლემა 16

2.2. ოჯახში ძალადობა თუ ერთჯერადი ძალადობრივი აქტი 17

2.3 მტკიცებულებათა მნიშვნელობა ოჯახში ძალადობის საქმეებზე..... 20

§3. სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილების გამიჯვნის პრობლემატიკა 21

§4. პრაქტიკაში არსებული სხვა სახის პრობლემები 24

თავი III. ოჯახში ძალადობის პრევენციის სხვა პრობლემური ფაქტორები 25

§1. დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოებისადმი 25

§2. კულტურა, ტრადიცია, რელიგია 27

§3. მასმედია და საზოგადოების ჩართულობა პრევენციის პროცესში 29

თავი IV. ოჯახში ძალადობის კრიმინოგენული შესწავლა, როგორ პრევენციის გზა (კვლევა და მისი შედეგები) **30**

§1. მსხვერპლის მდგომარეობა და დამოკიდებულება ძალადობის მიმართ **30**

§2. მსხვერპლად გახდომის რისკ-ფაქტორები **32**

§3. მოძალადის პროფილი და მისი ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორები…..... **34**

§4. ძალადობის ჩადენის დრო, ადგილი, ვითარება და სხვა გარემოებები **37**

თავი V. ოჯახში ძალადობის პრევენცია მოძალადეზე ზემოქმედების გზით. **38**

§1. ოჯახში ძალადობის პრევენციის რეპრესიული მოდელი **39**

§2. ოჯახში მოძალადის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია **41**

2.1. მოძალადის რეაბილიტაცია ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას..... **41**

2.2. მსჯავრდებული მოძალადის რეაბილიტაცია **43**

§3. მოძალადეთა რეაბილიტაციის პროცესის აუცილებელი წინაპირობები **45**

დ ა ს კ ვ ნ ა **46**

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა **48**

შ ე ს ა ვ ა ლ ი

კვლევის აქტუალობა. ოჯახური ურთიერთობები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მას შემდეგ რაც გაჩნდა ოჯახი, გაჩნდა განსხვავებები ოჯახის წევრებს შორის, რამაც თავისებურად წარმოშვა პრობლემა, რომელსაც დღეს ოჯახური ძალადობის სახელით ვიცნობთ. ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-4 საუკუნეში, არისტოტელე ამბობდა, რომ: „სახელმწიფო დიდი ოჯახია, რომელიც მრავალი პატარა ოჯახისგან შედგება“[1]. ოჯახის კეთილდღეობა პირდაპირ აისახება სახელმწიფოს განვითარებასა და სტაბილურობაზე. დღეს, ოჯახური ძალადობა საერთაშორისო თანამეგობრობის, თუ კონკრეტული სახელმწიფოების მნიშვნელოვან საფიქრალად რჩება. მეტიც, აღნიშნული პრობლემა 21-ე საუკუნის უდიდეს გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს. თანდათანობით ხდება საზოგადოებასა და ოჯახს შორის იმ ბარიერის გაქრობა, რომელიც ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენას ხელს უშლის, იცვლება საზოგადოების შეხედულება იმაზე, რომ რაც ოჯახში ხდება, მხოლოდ ოჯახის საქმეა, ამიტომ სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, ვალდებულები ხდებიან ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ შეიმუშაონ ერთიანი, ეფექტური და კომპლექსური მიდგომები, რომლებიც მაქსიმალურად შეამცირებს ოჯახური ძალადობის ფაქტებს და ხელს შეუწყობს მათ გამოვლენას. საქართველოში ოჯახური ძალადობის კვლევის აქტუალობაზე მიანიშნებს შსს-ის მიერ გამოქვეყნებული 2018 წლის სტატისტიკაც, რომლის თანახმადაც: 14 ნოემბრის მდგომარეობით სულ გამოვლენილია 4111 ოჯახური დანაშაული, საიდანაც გაიხსნა 2550 (65%), შემაკავებელი ორდერი გამოიცა 4370 შემთხვევაში, მაშინ როდესაც, მთლიანი 2016 წლის სტატისტიკა მოიცავდა 2192 ოჯახურ დანაშაულს, საიდანაც გაიხსნა 1603 შემთხვევა (73%), ხოლო შემაკავებელი ორდერი გამოიცა 6213 შემთხვევაში. ეს მკვეთრად მიანიშნებს ორ ფაქტორზე: ერთი, რომ ოჯახური

[1] არისტოტელე., პოლიტიკა, ნაწილი 1-ლი, 1995წ, თარგმანი. კუპრავა, თ., მე-2 თავი

ძალადობა გამოვიდა ოჯახის ჩარჩოებიდან და სულ უფრო მეტად არის აღქმული საერთო საზოგადოებრივ პრობლემად, რამაც გაზარდა მიმართვიანობა პოლიციისადმი და მეორე, გაიზარდა ოჯახური ძალადობის ფაქტებზე სათანადო რეაგირების შემთხვევები, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ოჯახურ ძალადობას სახელმწიფოც სერიოზულად უდგება . მიუხედავად ამ კუთხით წინ გადადგმული არაერთი ნაბიჯისა, მათ შორის ისეთის, როგორიცაა 2006 წელს კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“ მიღება, რომელიც დღეს თავის თავში გენდერული ძალადობის ასპექტებსაც მოიცავს, ასევე როგორიცაა: სამოქალაქო აქტივობის გაზრდა და არასამთავრობო სექტორის აქტიური მუშაობა ოჯახში ძალადობის კუთხით, სტამბულის კონვენციის რატიფიცირება 2017 წელს და ასე შემდეგ, დღეს საქართველოში მაინც რჩება არაერთი პრობლემა, რომელიც თავს იჩენს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კვლევის მიზანი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია: შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს და დაახასიათოს ის პრობლემები, რომლის წინაშეც დღეს საზოგადოება, სახელმწიფო უწყებები თუ ოჯახური ძალადობის მონაწილეები დგანან, რათა უფრო ეფექტური გახდეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. ნაშრომში გადმოცემული იქნება, თუ რა ხარვეზები არსებობს ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო ბაზაში, ასევე გზები, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ისინი. დახასიათებული იქნება ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სირთულეები პრაქტიკაში, ის გარემო ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე საუბარი გვექნება ოჯახში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურუნარიანობაზე, რაც თავის თავში მოიცავს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიასა და ოჯახში ძალადობის პრევენციის კონკრეტული გზების არ არსებობას ქართულ კანონმდებლობაში. ნაშრომი ეფუძნება ავტორის ნააზრევს, საკანონმდებლო ბაზას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და სამეცნიერო ლიტერატურას.

კვლევის მეთოდი. ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, სისტემური, ლოგიკური და შედარებით სამართლებრივი მეთოდები, ასევე სოციალური კვლევის მეთოდები: დაკვირვება და ანალიზი.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, 5 თავის და 17 პარაგრაფის, 5 ქვეპარაგრაფისგან, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

თავი I
ოჯახში ძალადობის პრევენციის პრობლემები საკანონმდებლო დონეზე

ოჯახში ძალადობის პრევენცია სახელმწიფოს მიერ მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით, მათ შორის ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონით არის განმტკიცებული. პრევენცია იმ ღონისძიებათა ერთობლიობას გულისხმობს, რომელიც ოჯახში ძალადობის გამოვლენას, აღკვეთას და მისი განმეორების თავიდან აცილებას ემსახურება. პრევენციას საკანონმდებლო დონეზე ახდენს სახელმწიფო ზუსტად გაწერილი და ეფექტური კანონმდებლობით. ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონი ოჯახში ძალადობის პრევენციას სხვადსხვა სახელმწიფო ორგანოთა ერთიან საქმიანობად და მიზნად მიიჩნევს[2], რომელშიც აქტიურად არის ჩართული არასამთავრობო სექტორი. ასევე კანონით მოცემულია ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები, მათ შორის ისეთები, როგორიცაა: ოჯახში ძალადობის მიზეზების შესწავლა, სტატისტიკის წარმოება, ძალადობის რისკ ჯგუფების ინფორმირებულობა და ა.შ.

§1. დამცავი და შემაკავებელი ორდერები და მათთან დაკავშირებული პრობლემები

ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ კანონი დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემას, ძალადობის აღკვეთისა და გამოვლენის მექანიზმად

[2] იხ. კანონის მე-7 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწ.

მიიჩნევს, თუმცა შემაკავებელი ორდერი თავის რეპრესიულ ფუნქციებთან ერთად, უდიდეს როლს ასრულებს ძალადობის პრევენციისთვის. ძალადობის პრევენცია შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად[3]: პირველი - ძალადობისადმი ერთიან მიდგომას გულისხმობს, ზოგადი ხასიათის ვალდებულებაა და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში ხორციელდება ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლით, მეორე უფრო კონკრეტული ხასიათისაა და პოტენციურ მოძალადე ჯგუფებთან მუშაობას გულისხმობს, ხოლო მესამე კი თავის თავში მოიცავს მოძალადის საქმიანობის პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებს[4]. შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემა აერთიანებს, როგორც მეორე, ასევე მესამე სახის პრევენციის გატარებას და იგი მხოლოდ ძალადობის აღკვეთის მიზნით არ ხორციელდება. დამცავი და შემაკავებელი ორდერების ეფექტურობაზე დღეს სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობს, თუმცა ფაქტია, რომ ორდერის გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმია ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე მეორეული ძალადობის ჩადენის თავიდან აცილების კუთხით, რადგან ორდერები სწორედ იმ პრევენციულ მექანიზმებს განსაზღვრავენ, რამაც ხელი უნდა შეუშალოს მოძალადეს ხელახალი ძალადობის ჩადენაში. მეორე საკითხია, რამდენად ეფექტურია ის ღონისძიებები, რაც დამცავ ან შემაკავებელ ორდერშია გაწერილი[5]. მაგალითად, ისეთი ღონისძიება, როგორიცაა: მოძალადის საცხოვრებელი სახლიდან გაძევება, როდესაც ეს ხდება ღამის საათებში, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი მოძალადის მიმართ, მართალია ერთი მხრივ ახდენს მსხვერპლთან მიმართებით განმეორებადი ძალადობის პრევენციას, თუმცა ზრდის რისკს, რომ ასეთი მოძალადის მიერ ჩადენილ იქნეს სხვა სახის დანაშაული, მაგ ქუჩის დანაშაულები[6]. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოძალადეს წასასვლელი არსად აქვს. ასეთ დროს შემაკავებელი ორდერის აღნიშნული პირობის გამოყენება უხეშად არღვევს მოძალადის უფლებებსაც, მითუმეტეს იმ კუთხით, რომ სახელმწიფო არ სთავაზობს მას საცხოვრებელ ალტერნატივას. მიუხედავად ამისა, შესაბამისი პირობების არსებობისას მოძალადის სახლიდან გარიდება, მსხვერპლის დაცვის პირველი სწორი ნაბიჯია[7]. მეორე საკითხია, ის რომ მართალია ხდება

---

[3] შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ.191-192

[4] K. R. Rossiter - Domestic Violence Prevention and Reduction in British Columbia, 2011, გვ.17

[5] T.L. Roleff – Domestic Violence, (G. McOscar - Restraining Orders May Incite Domestic Violence) 2004წ. გვ.134-138

[6] ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში - სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2015, გვ.51

[7] ევროსასამართლოს საქმე - E.S. and Others v. Slovakia, 2009წ

მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან მოშორება, თუმცა ორდერის შესრულების მონიტორინგი საქართველოში პრობლემურია, რაც პირდაპირ კავშირშია, ოჯახური ძალადობის საქმეების წარმოების უფლებამოსილების გამიჯვნის პრობლემატიკასთან, რაზეც საუბარი გვექნება ნაშრომის შემდეგ ნაწილში. ფაქტია, რომ არ არსებობს არც მსხვერპლის დაცვის გარანტია. მოძალადეს კვლავ შეუძლია, პოლიციის გვერდის ავლით მიუახლოვდეს მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილს და მეტიც, ჩაიდინოს განმეორებითი ძალადობა ან დანაშაული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ შემაკავებელი ორდერი ეფექტურია მხოლოდ გარკვეული ტიპის მოძალადეების მიმართ, რომლებიც უფრო მეტად კანონმორჩილნი არიან, თუმცა ორდერის ეფექტურობის გარეთ რჩება იმ პირთა წრე, ვისთვისაც ძალადობა ოჯახის გარეთაც ჩვეულებრივი ცხოვრების წესია.[8] მოძალადეს ყოველთვის მიეცემა შესაძლებლობა დაარღვიოს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი. აღნიშნული მის სურვილზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ უნდა ხორციელდებოდეს ორდერების შესრულების მკაცრი მონიტორინგი, რაც დღეს ასე არ არის. იგივე ეხება, მოძალადის მსხვერპლის სამსახურთან ან იმ ადგილებთან მიახლოვებას სადაც მსხვერპლი იმყოფება. პრობლემურია შემაკავებელი ორდერის ისეთი პირობა, როგორიცაა: მოძალადისთვის მსხვერპლთან ნებისმიერი სახის კომუნიკაციის აკრძალვა. აღნიშნული პირობა, ემსახურება მსხვერპლის განმეორებითი ფსიქოლოგიური ძალადობისგან, მუქარის ან შანტაჟისგან დაცვას. ხშირად მოძალადე არღვევს აღნიშნულ პირობას, რაც ითვლება შემაკავებელი ორდერის დარღვევად და მოჰყვება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნული პირობა მართალია ახდენს ძალადობის პრევენციას, თუმცა მიმაჩნია, რომ შემთხვევა, როცა მოძალადე მსხვერპლს უკავშირდება ტელეფონით, რაიმე საყოფაცხოვრებო საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად მისგან ნივთების წამოღებასთან, ბავშვთან დაკავშირებით ან სხვა, არ უნდა ქმნიდეს ორდერის დარღვევის დანაშაულით მოცემულ შემადგენლობას და არ უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მითუმეტეს, რომ კომუნიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების პროცესში შესაბამისი კრიმინოლოგიური წინაპირობების არსებობის შემთხვევაში[9], ხოლო იურიდიული შერიგების შესაძლებლობას თავად ოჯახში ძალადობის აღკვეთის

[8] Mary Barnish - Domestic Violence, 2004, გვ.81

[9] იხ. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, 2011, გვ.191-193

შესახებ კანონი იძლევა. სახელმწიფოს მიზანი, არ არის მოძალადის დასჯა, არამედ ძალადობის აღკვეთა, პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა.

§2. ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებები

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ადმინისტრაციულ მექანიზმებთან ერთად გამოიყენება სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებიც. სახელმწიფოს მიდგომა ოჯახში ძალადობასთან მიმართებით დღეს საკმაოდ მკაცრია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2018 წლის 30 ნოემბრის კანონით, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების „პრეიუდიციად" გაუქმდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და დღეის მდგომარეობით დარღვევის შემთხვევაში პირდაპირ დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მსგავსი მიდგომა არსებობს დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაშიც.[10] აღნიშნული ცვლილება მისასალმებელია და მნიშვნელოვანია მოძალადეზე ზემოქმედების კუთხით, თუმცა მან პრაქტიკაში გარკვეულწილად წარმოშვა გარკვეული პრობლემები. საინტერესოა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა შემაკავებელი ორდერების დარღვევის შემთხვევების რაოდენობაში, მაშინ როდესაც, დარღვევების რიცხვი უნდა შემცირებულიყო. ვფიქრობ, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მოძალადეს ხშირად არ ესმის, რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს შემაკავებელი ორდერების დარღვევამ. ამასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა არანაირი საინფორმაციო კამპანია ან ღონისძიება და მეორე, ხშირად მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერის დარღვევა გამოიხატება არა ხელახალი ძალადობის ჩადენაში, არამედ შემაკავებელი ორდერის პირობის დარღვევაში. რა თქმა უნდა შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული პირობების დაწესება საფუძველია იმისა, რომ განმეორებითი ძალადობა თავიდან იქნეს აცილებული, თუმცა ხშირად შემაკავებელი ორდერის დარღვევა ხდება არა იმ მიზნით, რომ ჩადენილ იქნეს ხელახალი ძალადობა, არამედ სხვა პირადი ან არაძალადობრივი მიზნით, ან პოლიციელის მხრიდან

[10] რ. კოხოძე, მ. მაისურაძე, ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმწიფო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, #1, 2011, გვ.85

ადმინისტრაციული სამართალწარმოების არასრულყოფილად წარმართვის მიზეზით. ეს უკანასკნელი ეხება იმ შემთხვევას, როცა მაგ: მოძალადე არ ფლობს ქართლ ენას, იმყოფება ალკოჰოლური მდგომარეობის ქვეშ ან საერთოდ არ იმყოფება შემთხვევის ადგილზე. ასეთ დროს უცილებელია მას მის მიმართ გამოყენებული ზომების შესახებ ეცნობოს მოძალადეს ეცნობოს მისთვის გასაგებად, სათანადო ენაზე[11], რათა ეს არ გახდეს სამართალწარმოების დამაბრკოლებელი საფუძველი. პრაქტიკაში გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შემაკავებელი ორდერის დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება უთოოდ ძალიან უსამართლო იქნებოდა. ერთი მათგანი ეხებოდა შემაკავებელი ორდერის დარღვევას, კერძოდ მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან მიახლოვებას, იმ მიზნით, რომ მოძალადეს ბავშვები მოენახულებინა. ფაქტობრივი გარემოებებით დადგინდა, რომ მოძალადე მიუახლოვდა ეზოში მოსეირნე მსხვერპლსა და ბავშვებს, გამოელაპარაკა მათ, მოინახულა ბავშვები რის შემდეგაც ისე, რომ არანაირი ძალადობა არ განუხორციელებია დატოვა ტერიტორია. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, შემაკავებელი ორდერის დარღვევასთან დაკავშირებით, რაც გაუმართლებელია, რადგან არ იკვეთება შემაკავებელი ორდერის დარღვევის და ხელახალი ძალადობის ჩადენის მიზანი. მეორე შემთხვევა ეხებოდა შემაკავებელი ორდერის დარღვევას ბარგის წამოღებასთან დაკავშირებით, მსხვერპლის საცხოვრებელთან მიახლოვების საკითხს. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის არსებობა გარკვეულწილად ქმნიდა ოქროს შუალედს, შემაკავებელი ორდერის დარღვევის ორ სხვადსხვა შემთხვევას შორის: ხელახალი ძალადობის მიზნით და ასეთი მიზნის გარეშე, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ასეთი სახის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად არსებული სტანდარტი ძალიან დაბალია და ძირითად მტკიცებულებას შემაკავებელი ორდერის დარღვევის ფაქტი და მსხვერპლის ახსნა-განმარტება წარმოადგენს. რაც შეეხება სსკ-ის 126[1] მუხლს, იგი აკეთებს დათქმას, რომ ეს დანაშაული მოიცავს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულ ქმედებას, რომელსაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის რაიმე სახის დაზიანება. ამ მუხლის შემადგენლობა მარტივი და სრულიად მისაღებია, თუმცა საინტერესოა როგორ უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც ოჯახის ერთი წევრის ქმედებას მეორის მიმართ მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ან ოჯახის ერთმა წევრმა გააუპატიურა მეორე

[11] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. 14.07.2016

წევრი? სსკ-ის 11[1] მუხლში ჩამოთვლილია მთელი რიგი დანაშაულები, რომელთან მიმართებითაც შეიძლება სახეზე გვქონდეს ოჯახური დანაშაული, თუმცა თუ გადავხედავთ აღნიშნულ მუხლებს, მათ დამამძიმებელ გარემოებებში ძნელად თუ ამოიკითხება ისეთი გარემოება, როგორიცაა მაგალითად: ოჯახის ერთი წევრის მიერ სხვა წევრის მიმართ თავისუფლების აღკვეთა ან გაუპატიურება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორისა, ქალის მკვლელობა ოჯახური პარტნიორის მიერ[12]. იქმნება სიტუაცია, რომ ასეთ შემთხვევებს კოდექსი ეძახის ოჯახურ დანაშაულს, თუმცა მას ისეთივე პასუხისმგებლობის ჭრილში განიხილავს, როგორშიც იგივე სახის არა ოჯახურ დანაშაულებს. ამიტომ მხოლოდ ტერმინოლოგიური განსხვავება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ქმედითობისთვის ნაკლებეფექტურია და საჭიროა ოჯახური საფუძვლით დანაშაულის ჩადენა ქმნიდეს ძირითად დანაშაულებთან მიმართებით დამამძიმებელ გარემოებას.

§3. სტამბულის კონვენცია და ოჯახში ძალადობის პრევენცია

2017 წლის 1 აგვისტოს, საქართველოში ძალაში შევიდა „ევროსაბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“. აღნიშნული სამართლებრივი აქტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო დოკუმენტს საქართველოსთვის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან მასში გადმოცემულია ის საერთაშორისო სტანდარტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანა, რომელიც აქტიურად ებრძვის ოჯახში და გენდერულ ძალადობას. აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს პირველადი და განმეორებითი ძალადობის პრევენციაზე[13], კერძოდ მასში მოიაზრებს საინფორმაციო კამპანიის მუდმივ რეჟიმში ჩატარებას, ძალადობასთან მიმართებით კულტურული და ტრადიციული მანკიერებების შეცვლას, რისკ ჯგუფებზე მუშაობას და არასამთავრობო სექტორის ჩართულობას, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პირობა, რომელიც არის ძალადობის ჩადენის და მისი განმეორების რისკების განსაზღვრის და მართვის მექანიზმის შემუშავება.

[12] მესხი მ., - ფემიციდი - საკანონმდებლო რეგულირების გამოცდილება და გამოწვევები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017, გვ.21

[13] იხ. კონვენციის მე-3 თავი.

აღნიშნული ვალდებულება საკმაოდ რთული შესასრულებელია, ვინაიდან ძალადობის რისკის შეფასება და მართვა დიდ ადამიანურ და დროით რესურსთან არის დაკავშირებული. რისკის განსაზღვრა თავის თავში მოიცავს ძალადობის საფრთხის ქვეშ მყოფ ჯგუფებზე მუშაობას, ძალადობის ინტენსივობის შესაბამისად განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილების შესაძლებლობას, მოძალადისთვის სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრებას და მსხვერპლის დაცვას. სტამბულის კონვენციის გავლენით ოჯახში ძალადობის საქმეებზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას შემოღებულ იქნა რისკების შეფასების მეთოდი, ე.წ. შემაკავებელი ოქმის საშუალებით. აღნიშნული დოკუმენტი თავისი ფორმით წარმოადგენს ინფორმაციულ კითხვარს, რომელიც ივსება საინფორმაციო ბაზის, ან/და მსხვერპლის, მოძალადის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. შემაკავებელი ორდერის ოქმის მნიშვნელობა კონვენციით დაწესებული ვალდებულების შესასრულებლად უმნიშვნელოვანესია, თუმცა პრაქტიკაში მაინც იქმნება გარკვეული სახის სირთულეები. ეს ძირითადად ეხება იმ ფაქტს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ივსება შემაკავებელი ორდერის გამოცემამდე, ანუ მაშინ, როდესაც ძალადობა ახალი გამოვლენილია. ვინაიდან დოკუმენტი თავისი ხასიათით კითხვარის ტიპისაა, მსხვერპლს უწევს პასუხი გასცეს საკმაოდ ბევრ შეკითხვას, რომელთაგანაც ბევრი პირადი ხასიათის ან წარსულ ძალადობასთან დაკავშირებული შეკითხვაა. ასეთ კითხვებზე პასუხების გაცემა მსხვერპლს, რომელიც ძალადობის გამოვლენის ადრეულ ეტაპზე, პოლიციის მხრიდან ზედმეტი კითხვების გარეშე დახმარებას მოელის, უქმნის დისკომფორტს. ერთი მხრივ ხდება მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაცია[14], და მეორე მხრივ მსხვერპლის ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით კითხვებზე პასუხი ყოველთვის არ არის ზუსტი ან ამომწურავი. პრობლემურია თავად კითხვარის შინაარსი. შემაკავებელ ოქმში მოცემული კითხვების უმრავლესობა ეხება წარსულში განცდილ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, თუმცა ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომიკურ ძალადობას, რომელიც არანაკლებ გავრცელებულია. ოქმი განიცდის მოძალადის პიროვნების განსაზღვრისთვის საჭირო კითხვების ნაკლებობასაც, მაშინ როდესაც რისკის განსაზღვრისთვის სწორად მოძალადის სწორი პროფილის შექმნაა აუცილებელი. რისკების შეფასება ხორციელდება კითხვებისთვის მინიჭებული ქულების საშუალებით. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ქულების განაწილება ოქმში პრობლემურია. კითხვარი დაყოფილია 1, 3, და 5 ქულიან შეკითხვებად. მაგ. კითხვები:

[14] შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2011, გვ.33

„სავარაუდო მოძალადეს რეგისტრირებული აქვს ცეცხლსასროლი იარაღი ან ხელი მიუწვდება ცეცხლსასროლ იარაღზე?“ შეფასებულია 1 ქულით, მაშინ როცა კითხვა მოძალადის მიერ მსხვერპლთან დამყარებულ არასასურველ კონტაქტთან ან კონტროლთან დაკავშირებით შეფასებულია 3 ქულით. კითხვების განლაგებული უნდა იყოს საფრთხის შესაბამისად რათა სწორად განისაზღვროს ძალადობის განმეორების რისკი. ამასთან ვფიქრობ არასწორად არის შემუშავებული რისკის დონის განსაზღვრის მეთოდი, კერძოდ მაღალი რისკის მქონე ძალადობად ითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც დაფიქსირებულია მინიმუმ ერთი 5 ქულიანი პასუხი მაინც, შესაბამისად ერთი 3 ქულიანი პასუხი შეესაბამება საშუალო რისკს, ხოლო 1 ქულიანი პასუხი დაბალ რისკს. რეალურად, რისკის განსაზღვრა არ ხდება პასუხებზე დაგროვილი ქულების შეკრებითობის საფუძველზე, რაც ქმნის შესაძლებლობას, რომ მაგ. ხუთი სამქულიანი და ოთხი ერთქულიანი პასუხის შემთხვევაში, ძალადობის განმეორების რისკი ჩაითვალოს საშუალოდ, მაშინ როდესაც ზოგიერთი სამქულიანი კითხვა ერთობლიობაში უკვე ქმნიდეს მაღალი რისკის საშიშროებას. საბოლოოდ ვფიქრობ, რომ შემაკავებელი ოქმის არსებობა პირდაპირ ემსახურება ძალადობის პრევენციის კონვენციისამებრ გაგებას, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი ხარვეზიანია და სამომავლოდ დახვეწას საჭიროებს.

თავი II

ოჯახში ძალადობის პრევენციის პრაქტიკაში არსებული პრობლემები

ნებისმიერი სახის სამართლებრივი ინსტიტუტის სრულყოფისა და განვითარებისთვის აუცილებელია მისი შესწავლა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში, ვინაიდან სწორედ პრაქტიკის ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელია გამოვლინდეს ის ხარვეზები, რაც სამართლებრივ ბაზაში არსებობს და ვერ ახდენს სამართლებრივი ნორმების რეალიზებას ყოველდღიურ საქმიანობაში. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში უდიდესი როლი აქვს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, რომელიც არის პირველადი ორგანო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, მსხვერპლთა დაცვისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელებისთვის, თუმცა საპატრულო პოლიციის

ყოველდღიურ საქმიანობაში პატრულ-ინსპექტორები უწევთ არაერთი სახის პრობლემასთან შეხვედრა, რომელიც მათ ხელს უშლით სწორად განახორციელონ სამართალწარმოება და მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები. ნაშრომის ამ თავში განხილული იქნება ასეთი პრობლემების ყველაზე გავრცელებული შემთხვევები.

§1. ოჯახური ძალადობის გამოვლენის პრობლემატიკა და მისი ლატენტურობა

ოჯახში ძალადობა თავისი ხასიათით ლატენტური ტიპისაა.[15] ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ხშირად მხოლოდ მოძალადესა და მსხვერპლის შორის არსებობს და ოჯახს გარეთ არ გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ოჯახში ძალადობის სულ უფრო და უფრო მეტი მსხვერპლი საუბრობს მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, შემთხვევათა დიდი ნაწილის გამოვლენა კვლავ არ ხდება. საგულისხმოა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც სისტემატური ხასიათის არ არის, დამოუკიდებლად ძალიან იშვიათად ვლინდება, თუ მას თან არ ახლავს ფიზიკური ან სხვა სახის ძალადობა. ლატენტური ხასიათის არის მსხვერპლზე სექსუალური ძალადობაც. ამის მიზეზი ისევ და ისევ ოჯახური ურთიერთობებია, რომელიც თავის თავში აერთიანებს სქესობრივ ცხოვრებასაც. მსხვერპლი ფიქრობს, რომ სექსუალური ურთიერთობებში მას გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვს, რომ ეს მისი ვალდებულება და ხშირად არ აცხადებს მასზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ.

ოჯახში ძალადობის გამოვლენა მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. დღესდღეობით ოჯახში ძალადობის გამოვლენა ხდება თავად მსხვერპლის ან მსხვერპლთან დაკავშირებული სხვა პირების მიერ. ეს ძალიან დიდი პრობლემას წარმოადგენს. სახელმწიფო რეალურად მსხვერპლისგან ელის იმას, რომ ამ უკანასკნელმა პირველი ნაბიჯი გადადგას და ძალადობის ფაქტის შესახებ შეატყობინოს, რაც მთელ რიგ შემთხვევებში ასე არ ხდება. ის თუ, რატომ არ ატყობინებს მსხვერპლი შესაბამის ორგანოებს ძალადობის შესახებ უამრავ მიზეზს აერთიანებს. ასეთია: შიში, სირცხვილი, მოძალადეზე

[15] შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2017, გვ.27

დამოკიდებულება და სხვა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უწყებები აქტიურად მუშაობენ საკითზე, რომ მსხვერპლს გაუმარტივდეს ოჯახში ძალადობის ფაქტის შეტყობინება[16], კვლავ არ ხდება ძალადობის ფაქტების აქტიურად გამხელა მსხვერპლის მიერ. ოჯახში ძალადობის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შესაძლებელია გახდეს ცნობილი მსხვერპლთან დაკავშირებული პირების მიერ, მაგ. მეზობლის ან ნათესავის მიერ, რასთან მიმართებითაც პრაქტიკაში არსებობს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის მსხვერპლის პოზიცია ძალადობის მიმართ. სამწუხაროდ ხშირად ხდება, რომ მეზობლის შეტყობინების საფუძველზე გამოცხადებულ საპატრულო პოლიციას მეზობელი არ ხვდება შემთხვევის ადგილას ან ვერ აწვდის მას ზუსტ ინფორმაციას. მეტიც, ხშირად პოლიცია ვერც ინციდენტის ადგილს ამოწმებს. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება ღამის საათებში. მსხვერპლთან დაკავშირებული პირები ძირითადად თვლიან, რომ მათ მიერ ძალადობის ფაქტის შეტყობინება პოლიციისთვის საკმარისია და მათ აღარ მოუწევთ მეტი ინფორმაციის გაცემა ან ძალადობის გამოვლენაში ჩართვა, რაც მცდარ აზრს წარმოადგენს. სამწუხაროდ ხშირად ხდება ისე, რომ პოლიციის ადგილზე მისვლისას მოძალადე ოჯახიდან არანაირი ხმაური არ გამოდის, პოლიციას არ ხვდება გამოძახების ინიციატორი, უარს აცხადებს თანამშრომლობაზე. მეტიც, შესაძლოა მსხვერპლის საცხოვრებელი კარი პოლიციას არავინ გაუღოს იქმნება სიტუაცია, რომ პოლიციისთვის ცნობილია, რომ აღნიშნულ მისამართზე შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ძალადობის ფაქტს, თუმცა ვინაიდან ადგილზე ყოფნისას არ იკვეთება არანაირი საფუძველი, რომ მოხდეს სავარაუდო ძალადობის ადგილას იძულებითი შესვლა, პოლიცია სათანადო რეაგირებას ვერ ახდენს. ასეთ დროს საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა არის იმ სახის, რომ ძალადობის ფაქტი არ დასტურდება, რაც ხშირ შემთხვევაში ასე არ არის. არსებობს შემთხვევები, როდესაც მართალია სავარაუდო ძალადობის ოჯახი აღებს სახლის კარებს, მაგრამ საცხოვრებელი სახლის დათვალიერებისას არ არის ძალადობის არანაირი კვალი, ასევე კვალი არ აღენიშნება მსხვერპლს. ეს განსაკუთრებით სისტემატური ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში. ამ დროს პოლიციელს რჩება ორი გზა: ერთი, რომ გამოკითხოს მეზობლები და მათგან მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ოჯახში ძალადობას ხშირად აქვს

[16] 2018 წლის 11 თებერვლიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ სატელეფონო ხაზის „112“-ის მომსახურებით ისარგებლონ ხაზზე დარეკვის გარეშე აპლიკაციის მეშვეობით, SOS ღილაკით შეტყობინება გაგზავნონ დანაშაულის შესახებ და პარალელურად გააგზავნონ მათი ადგილმდებარეობის კოორდინატები.

ადგილი, რაც ძალიან რთული პროცედურაა ან მეორე, მოიპოვოს მსხვერპლის ნდობა და დაითანხმოს ის თანამშრომლობაზე, რაც ასევე ძალიან რთულია, განსაკუთრებით ძალადობის ადრეულ ეტაპზე, როცა ძალადობის ესკალაცია ჯერ არ მომხდარა. მსხვერპლთან სწორ კომუნიკაციას მსხვერპლის მხრიდან თანამშრომლობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამ კუთხით სამწუხაროდ ოჯახში ძალადობის საქმეებზე მომუშავე პირების კვალიფიციური გადამზადება იშვიათად ხდება. იმ პირობებში, როცა საქართველოში ძალადობა მეტ-ნაკლებად „პოპულარიზირებულია“[17], მას გარკვეულწილად აღიარებს კულტურა და ტრადიციები, რაც კიდევ უფრო რთულს ხდის მსხვერპლის მხრიდან თანხმობის მიღებას, რომ მის მიმართ გატარდეს დამცავი ღონისძიებები. დიდ პრობლემას წარმოადგენს პოლიციაში კადრის ნაკლებობა და ქალბატონების სიმცირე. თუ მსხვერპლი ქალბატონია, მას ხშირად სექსუალურ ან ფიზიკურ ძალადობაზე საუბარი გაცილებით უადვილდება შესაბამისი სქესის წარმომადგენელთან, ვიდრე მამაკაც პოლიციელთან, ამიტომ მსხვერპლის ნდობის მოპოვება გამარტივდება, თუ შემთხვევაზე მისულ საპატრულო ეკიპაჟის წევრები იქნებიან როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელია არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც ხშირად ესტუმრება ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ ოჯახებს, აქტიურად ჩაატარებს საინფორმაციო კამპანიას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და შეისწავლის ოჯახში ძალადობის თითოეულ, თუნდაც უმნიშვნელო ფაქტს, რა თქმა უნდა ყოველდღიური არაძალადობრივი ოჯახური უთანხმოებების გამოკლებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მხოლოდ ერთი ნაბიჯის მოშორებით იდგება ძალადობისგან, იგი შეძლებს მოახდინოს დროული რეაგირება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე და შეამციროს მათი რიცხვი.

§2. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული სახის შემთხვევები

2.1. მსხვერპლის და მოძალადის იდენტიფიცირების პრობლემა

პოლიციის ყოველდღიურ საქმიანობაში, ხშირად ადგილი ოჯახში ძალადობის განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომლებიც განსხვავდება ძალადობის ტიპიური შემთხვევებისგან და ისინი განსაკუთრებულ მიდგომას

[17] შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ.37

საჭიროებენ. პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ძალადობის ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომელს უჭირს იდენტიფიცირება მოახდინოს მომხდარ ძალადობასთან მიმართებით ვინ არის მსხვერპლი და ვინ მოძალადე. ძირითად შემთხვევებში ძალადობის მონაწილე ორივე მხარე პოლიციელს მიუთითებს იმაზე, რომ მეორე მხარემ მის მიმართ განახორციელა რომელიმე სახის ძალადობა. მსხვერპლის იდენტიფიცირება მარტივია, როდესაც სახეზე გვაქვს ფიზიკური ძალადობა და მსხვერპლს აშკარად აღენიშნება ფიზიკური ძალადობის კვალი, მაგრამ საქმე გაცილებით რთულადაა, როდესაც მომხდარია ფსიქოლოგიური ძალადობა, იძულება ან ეკონომიკური ძალადობა. ეკონომიკური ძალადობის შემთხვევებზე ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს ოჯახის წევრთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე და იმაზე თუ ოჯახის, რომელი წევრია დასაქმებული, ვინაიდან ეს ხშირ შემთხვევაში შესაძლოა იყოს ინდიკატორი იმისა, თუ რომელი წევრი ახორციელებს ეკონომიკურ ძალადობას. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის იდენტიფიცირება ხდება მიღებული ინფორმაციისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. რაც შეეხება ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებს, ასეთ დროს მნიშვნელოვანია შეფასდეს ორივე მხარის პოზიცია. პოლიციელს უწევს ფიქრი იმაზე ოჯახის ის წევრი, რომელიც სავარაუდოდ მსხვერპლია, ხომ არ არის იმავდროულად მოძალადეც. მაგალითად თუ ოჯახის ორივე წევრი ერთმანეთის მიმართ აფიქსირებს ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევას, ძალიან რთულდება იმის გარკვევა, თუ ვინ ამბობს სიმართლეს და ვინ ტყუის. მართალია ამ შემთხვევაში პოლიციელს შეუძლია იხელმძღვანელოს ისეთი გარემოებებით, როგორიცაა ოჯახის წევრების მიერ წარსულში მოძალადედ ან მსხვერპლად ყოფნის ფაქტები, ან შემთხვევისას, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი, თუმცა ასეთი გარემოებები ხშირად არაზუსტია ან საერთოდ არ არსებობს. ის, რომ მაგალითად ქმარი წარსულში ძალადობდა და მის მიმართ შედგენილი იყო შემაკავებელი ორდერი არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ კონკრეტულ შემთხვევაშიც მან განახორციელა ფსიქოლოგიური ძალადობა. სამწუხაროდ ამ შემთხვევას მივყავართ იმ შედეგამდე, რომ პოლიციის მიერ ოჯახის ორივე წევრის იდენტიფიცირება ხდება ერთდროულად, როგორც მსხვერპლი და როგორც მოძალადე. მეტიც, შესაძლებელია ოჯახის ორივე წევრი მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.[18] ადმინისტრაციული წარმოებისას შემაკავებელი ორდერი დგება ორივე მხარის

[18] ელენე გოგუაძე - აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017, გვ.68

მიმართ, რაც კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას. ეს არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც მსხვერპლი მოძალადის მიმართ მოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებში[19] პრაქტიკული კუთხით, ორივე მხარის, როგორც მსხვერპლად, ისე მოძალადედ იდენტიფიცირება ნიშნავს, რომ ორივეს ენიჭება უფლება ისარგებლოს მსხვერპლისთვის მინიჭებული უფლებებით და ასევე დაიცვას ვალდებულებები, რომლებიც აკისრია მოძალადეს. ასეთ დროს წარმოიშვება გარკვეული პრობლემები, მაგალითად ისეთი , როგორიცაა საკითხი, თუ ოჯახის რომელი წევრის გარიდება უნდა მოხდეს საცხოვრებელი ბინიდან. მოძალადის ბინაში დატოვებამ კი შესაძლოა მსხვერპლს უფრო დიდი საფრთხე შეუქმნას.[20] რეალურად მსხვერპლად ან მოძალადედ იდენტიფიცირება ხშირად ემყარება ოჯახის წევრებისგან მიღებულ ინფორმაციას, ამიტომ იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები, პოლიციის თანამშრომლები განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოეკიდონ ოჯახის წევრების გამოკითხვას, გაესაუბრონ მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გაითვალისწინონ გარეშე ფაქტორები და მსხვერპლის იდენტიფიცირება მოახდინონ სწორად, რადგან ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახში ძალადობის ფაქტის განმეორების შემთხვევაში საქმის წარმოებისას.

2.1. ოჯახში ძალადობა თუ ერთჯერადი ძალადობრივი აქტი

ოჯახში ძალადობა რა თქმა უნდა ოჯახურ გარემოში მომხდარი დანაშაულია, თუმცა იგი შესაძლოა განხორციელდეს ოჯახის გარეთაც, მაგ: საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ქუჩაში, თეატრში და ა.შ. თუმცა როგორც წესი ოჯახური ძალადობა სისტემატიურ ხასიათს იღებს მხოლოდ ოჯახში. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც შესაძლოა სახეზე გვქონდეს ოჯახის წევრებს შორის არსებული უთანხმოება, რასაც თან ახლავს ძალადობა, თუმცა ამ დროს პრობლემური იყოს იმის გარკვევა: არის ეს ოჯახში ძალადობის კანონის გაგებით, თუ ეს არის ერთჯერადი ძალადობრივი დაპირისპირება, რომელიც ხანდახან ასევე დასჯადია. როგორც წესი ოჯახში ძალადობა, ოჯახურ

[19] ტურავა მ., სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2013, თავი 6

[20] მაგალითისთვის იხ. CEDAW კომ. გადაწყვეტილება A.T. v Hungary

ურთიერთობებში განხორციელებულ სხვადასხვა ძალადობრივ ქმედებათა ერთობლიობას მოიცავს და აქვს სისტემატური ხასიათი[21], თუმცა შეიძლება საკამათო იყოს არის თუ არა ოჯახში ძალადობა პირველად განხორციელებული რაიმე სახის ძალადობა. ცნება სისტემატური, ოჯახში ძალადობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რადგან ასეთი სახის ძალადობა ხშირად თვეები და შესაძლებელია წლებიც კი გრძელდებოდეს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს თავისი ფაზები[22], განვითარების დინამიკა და ხშირად სწორედ ეს იწვევს მსხვერპლის გაუსაძლის მდგომარეობას. ერთჯერადი ძალადობრივი აქტის სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების შემთხვევები ძალიან იშვიათია, რადგან ამ ეტაპზე მსხვერპლს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული, თუ რა შეიძლება ემუქრებოდეს მას მომავალში. იგი თვლის, რომ მოხდა უთანხმოება, რომელშიც მეორე მხარე ოდნავ გადავიდა ზღვარს, თუმცა ეს აღარ განმეორდება. ძირითად შემთხვევებში ერთჯერად ძალადობრივი აქტს მიეცემა ხოლმე სისტემატური ხასიათი და იგი ვლინდება სხვადასხვა სახის ძალადობაში, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ეს ასე არც ხდება. ერთჯერადი ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ძალადობის ნებისმიერ ფორმაში, მაგ: ფიზიკურში, ფსიქოლოგიურში, ეკონომიკურში და სხვ. ვინაიდან ოჯახური ურთიერთობები ყოველთვის რთული და პრობლემურია, მასში ყოველთვის არსებობს პრობლემები, გაუგებრობები. ამ პრობლემების მოგვარება არ უნდა ხდებოდეს ძალადობრივი გზებით, თუმცა არის შემთხვევები, რომ ოჯახის წევრებს შორის ხდება „ზღვარს გადასვლა“ და ერთმანეთისთვის სიტყვიერი შეურაცყოფის მიყენება. იმის და მიხედვით ეს სისტემატური ხასიათისაა, თუ პირველად ხდება, ვფიქრობ თითოეული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. როგორც წესი, პრაქტიკაში ეს ასეცაა. მაგ. სისტემატური ხასიათის ფსიქოლოგიურ ძალადობაზე თითქმის ყველა შემთხვევაში გამოძიება იწყება სსკ-ის 126[1] მუხლით, რაც შეეხება ერთჯერადი ფსიქოლოგიურ ძალადობას, ასეთ დროს ხშირ შემთხვევაში შემაკავებელი ორდერი გამოიყენება, თუმცა ხანდახან შეიძლება მისი გამოყენება არ იყოს გამართლებული, მაგალითად ერთჯერადი სიტყვიერი შეურაცყოფა, რომელიც საკამათოა არის თუ არა „ძალადობა“. შესაძლებელია იგი პირმა ჩაიდინოს არა მარტო ოჯახის წევრის, არამედ სხვა პირის მიმართაც, თუმცა ოჯახის წევრის მიმართ ის ითვლება ძალადობად, ხოლო სხვა პირის მიმართ წვრილმან ხულიგნობად. ერთჯერადი

[21] ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 167

[22] ავტორთა ჯგუფი (ბოჭორიშვილი მ., მესხი მ., და სხვ.), სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010წ, გვ.8-9

სიტყვიერი შეურაცყოფა შეიძლება გამოწვეული იყოს ამ პირის სიმთვრალით, სხვა პირად პრობლემათა დამთხვევით და ა.შ. სამწუხაროდ დღეს ოჯახური კონფლიქტების საქმეებზე აღარ გამოიყენება ხელწერილის ინსტიტუტი. შესაძლებელია ხელწერილი არ იყოს ისეთივე ქმედითი, როგორც შემაკავებელი ორდერი, თუმცა ერთჯერადი სიტყვიერი შეურაცყოფისას არ არსებობს გაზრდილი საფრთხე ოჯახური ძალადობის სხვა ფორმებთან მიმართებით. იგი შესაძლებელია აღარც განმეორდეს, ამიტომ ხელწერილით ერთი მხრივ ხდებოდა მოძალადის მიერ ახალი ძალადობის ჩადენის პრევენცია, ისე, რომ მოძალადეს არ ეკისრებოდა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული პირობები, რომლებიც საკმაოდ მკაცრი შეიძლება იყოს კიდეც და არ შეესაბამებოდეს მოძალადის პიროვნებას, ხოლო მეორე მხრივ განმეორებითი ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის ახსნა განმარტების გარდა სახეზე გვქონდა ისეთი სახის მტკიცებულება, როგორიც არის ხელწერილი. ასეთ დროს პოლიციელმა ძალადობის ჩადენის რისკები სწორად უნდა განსაზღვროს. ხელწერილის გამოყენება დაუშვებელია, თუ არსებობს მცირედი რისკიც კი, რომ მსხვერპლს საფრთხე ემუქრება[23]. ასეთ დროს მიზანშეწონილი იქნება დადგეს პირის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლითაც, რაც ისეთივე ქმედითი შეიძლება იყოს, როგორც პირველ ჯერზე შემაკავებელი ორდერი. ხშირად მსხვერპლს არ სურს, რომ მოხდეს მოძალადის მისგან განრიდება. მას სურს, რომ მოძალადე გაფრთხილებულ იქნას, სურს რომ ოჯახური ურთიერთობები შეინარჩუნოს, ამიტომ მის ინტერესში არ შედის შემაკავებელი ორდერის პირობების გამოყენება. მას უბრალოდ სურს, რომ მოძალადემ „ჭკუა ისწავლოს“, რისი მიღწევა სხვა საშუალებებითაც შესაძლებელია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ოჯახში ძალადობის განსხვავება ოჯახური კონფლიქტისგან. ოჯახური კონფლიქტი მოიცავს ოჯახში ძალადობას, თუმცა იგი შეიძლება არც იყოს ძალადობრივი. უთანხმოება, კამათი ოჯახის წევრებს შორის საკმაოდ ხშირად ხდება, თუმცა თუ მას არ ახლავს ძალადობის რომელიმე ფორმა, შემთხვევაზე მისულ პოლიციელს მართებს კარგად გაერკვეს სიტუაციაში, დახმარება აღმოუჩინოს ოჯახის წევრებს უთანხმოების დაძლევაში, ისე, რომ არ გამოიყენოს ოჯახური ძალადობის აღმკვეთი ღონისძიებები.

2.3. მტკიცებულებათა მნიშვნელობა ოჯახში ძალადობის საქმეებზე

ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოება მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ასეთ სირთულეს წარმოადგენს წარმოების პროცესში

[23] ევროსასამართლოს საქმე. Kontrova v. Slovakia 2007წ.

მტკიცებულებათა სიმცირე და მათი მოძიების შეუძლებლობა[24]. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლი არ არის ვალდებულები დაადასტუროს ძალადობის ფაქტი მტკიცებულებებით. ეს სახელწმიფოს ვალდებულებაა.[25] ძალადობის შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელს პირველ რიგში კონფლიქტის განეიტრალება უწევს, რის შემდეგაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მან აუცილებლად უნდა გაამყაროს თავისი გადაწყვეტილება შესაბამისი მტკიცებულებებით. იმის და მიხედვით, თუ ძალადობის რომელი ფორმა არის სახეზე, მტკიცებულებათა მოძიება შეიძლება სხვადასხვანაირად განხორციელდეს, თუმცა ძირითად შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის გამოყენების/გამოძიების დაწყების გადაწყვეტილება ემყარება სიტყვიერ ახსნა-განმარტებებს. ეს შესაძლოა იყოს პრობლემური. ხშირად არ არსებობს, იმაზე მეტი მტკიცებულება ვიდრე სავარაუდო მსხვერპლის და სავარაუდო მოძალადის მიერ მიწოდებული ინფორმაციაა. ეს ინფორმაცია შესაძლოა ემყარებოდეს პირის აღელვებას, როდესაც იგი კარგად ვერ გადმოცემს მომხდარს, ან შესაძლოა სავარაუდო მსხვერპლმა სხვადასხვა მიზეზების გამო პოლიციას ვერ მიაწოდოს სწორი ინფორმაცია, ან მისი აღქმა მომხდარის შესახებ არ შეესაბამებოდეს რეალურს. ეს ახასიათებს განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებს. ასეთ დროს ძალიან რთულია დადასტურდეს მსხვერპლის ან მოძალადის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორე, ამიტომ პოლიციელს უწევს გადაწყვეტილება მიიღოს შინაგანი რწმენის საფუძველზე. ასეთ დროს მასზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის სტერეოტიპები. მაგ. ის, რომ ქალი უფრო სუსტი არსებაა, ვიდრე მამაკაცი. კონკრეტულ შემთხვევაში ეს ასე შეიძლება, არც იყოს. პოლიციელმა უნდა შეაფასოს ოჯახის წევრების პიროვნება. მან საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვა: შეესაბამება თუ არა ოჯახის წევრების მიერ მიწოდებული ინფორმაცია მათ იმჟამინდელ მდგომარეობას, (მაგ.ოჯახის წევრი ნასვამ მდგომარეობაშია). მნიშვნელოვანი ფაქტორია ოჯახის წევრების წარსული ქცევის, მათ მიერ კანონთან ურთიერთობის გადახედვა. სამწუხაროდ პრაქტიკაში ეს ყველაფერი არ ხდება შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის არარსებობის გამო. დიდია რისკი, რომ გარკვეულ შემთხვევებში მოხდეს პოლიციელის მიერ არასწორი გადაწყვეტილების მიღება, ან არასწორი ამკრძალავი ღონისძიების დაკისრება მოძალადისთვის. ამასთანავე, ოჯახში

[24] იხ. კოჭლამაზაშვილი ბ., ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017, გვ.50-56

[25] ევროსასამართლოს საქმე - E.M. v. Romania, 2012წ, ასევე A. v. Croatia, 2010წ.

ძალადობის სისხლისსამართლებრივ საქმეებზე არსებობს განსხვავებული მტკიცებითი სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ საქმეებზე განაჩენის დასადგომად შედარებით დაბალი სტანდარტია, ხშირად პოლიციელებისა და მსხვერპლის ჩვენება ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სასამართლოში, ამიტომ თუ მსხვერპლი დუმს, გამამტყუნებელი განაჩენი ვერ დადგება.[26] ამასთან ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეებზე მოძალადეს იცავს, მის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების დასჯადობის შესაძლებლობა, იგი სისხლის სამართალწარმოებისას უფრო მეტად არის დაცული არასწორი გადაწყვეტილების მიღებისგან ნაკლები მტკიცებულებების არსებობისას, რაც როგორც ზემოთ ითქვა ადმინისტრაციული წარმოებისას ასე არ არის.

§4. სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილების გამიჯვნის პრობლემატიკა

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სხვა ორგანოსთან მიმართებით ყველაზე მეტად სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ნაწილია. ძალადობის აღკვეთა-გამოვლენა და მისი პრევენცია, ყველაზე აქტიურად სწორედ მათ მიერ უნდა ხორციელდებოდეს. იმისათვის, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევებს მაქსიმალური ყურადღება მიექცეს აუცილებელია სწორად განისაზღვროს თუ ვინ უნდა იყოს უფლებამოსილი აწარმოოს ოჯახური ძალადობის საქმეები. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში ასეთ ორგანოს წარმოადგენს პოლიცია. ეს გამოწვეულია გარკვეულწილად იმით, რომ პოლიცია არის ისეთი ორგანო, რომელიც ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ვითარებაში ხელმისაწვდომია მთელი ქვეყნის მასშტაბით. არის ქვეყნები სადაც ოჯახური ძალადობა უფრო მაღალ დონეზეა აყვანილი მას პოლიციის მუშაკები არ განიხილავენ[27] და იგი სასამართლოს ან სხვა უმაღლეს ორგანოთა განსახილველია. დაახლოებით ასეთი მიდგომა იყო

[26] თბილისი საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის და 28 აპრილის განაჩენი

[27] აშშ-ის ძალიან ბევრ შტატში შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანო სასამართლოა. მაგ. Revised Code of Washington, Title 26, Chapter 26.50, Section 26.50.020

საქართველოშიც.[28] დღეს ოჯახური ძალადობის საქმეების წარმოება მთლიანად მინდობილია პოლიციის ორგანოებზე. ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი საკითხია, თუ პოლიციის რომელმა დანაყოფმა, ორგანომ უნდა აწარმოოს ოჯახში ძალადობის საქმეები. ამ მხრივ დღეს პრაქტიკაში ძალიან დიდი გაუგებრობაა. ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოება ევალებათ[29]: შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს და მართლწესრიგის ოფიცრებს. ვფიქრობ ასეთი მიდგომა გაუმართლებელია მთელ რიგ გარემოებათა გამო. ოჯახში ძალადობის საქმე ერთი მთლიანობაა. დაწყებული მისი პრევენციიდან, დამთავრებული მასზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით და დამდგარი შედეგების აღმოფხვრით, მსხვერპლის რეაბილიტაციით. პოლიციას ევალება ოჯახში ძალადობის საქმეები აწარმოოს სასამართლოში საქმის გაგზავნამდე. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საქმე ერთმა ორგანომ აწარმოოს და არა რამდენიმემ. საქმის მწარმოებელი პირის ხშირი ცვლილება საფრთხეს შეუქმნის, ვითარების, საქმის სწორად გაძღოლას და იგი ასევე აჭიანურებს საქმეს, რაც დაუშვებელია.[30] არ შეიძლება შემთხვევაზე პირველად მისული პირი და გამოძიების გამგრძელებელი პირი იყოს სხვადასხვა. ხშირად ხდება ისე, რომ ერთი და იგივე ტიპის შემთხვევებზე საქმეს ხან იძიებს საპატრულო პოლიცია, ხან კრიმინალური პოლიცია. საპატრულო პოლიციის მიერ ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოებას აქვს ბევრი დადებითი მხარე, მაგ: საპატრულო პოლიცია წარმოადგენს ყველაზე ოპერატიულ დანაყოფს, რომელიც მუშაობს 24/7 რეჟიმში, აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, რომ დროულად მოახდინოს ძალადობის ფაქტზე რეაგირება. მიუხედავად ამისა, საპატრულო პოლიციისთვის შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილების მიცემა ვფიქრობ მთელ რიგ პრობლემებს ქმნის. პირველი არის რომ პატრულ-ინსპექტორთა რაოდენობა ძალიან მცირეა, ხოლო საპატრულო პოლიციის ქვემდებარეობაში შედის ძალიან ბევრი სახის გამოძახება, რომელთა შორისაც, ბევრი შეიძლება არც შეესაბამებოდეს პოლიციის პირდაპირ საქმიანობას.[31]

---

[28] 2017 წლის 4 მაისის ცვლილებებამდე შემაკავებელი ორდერი ძალაში შედიოდა მოსამართლის მიერ მისი განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, რაც ართულებდა მსხვერპლის დაცვას.

[29]იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №81, 13.07.2018

[30] ევროსასამართლოს საქმე D.P. v. Lithuania, 2013წ

[31] საპატრულო პოლიციის ქვემდებარეა: ხმაურის წესების დარღვევა, სიგარეტით სარგებლობის წესების დარღვევა, მთელი რიგი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, მათ შორის საგზაო სამართალდარღვევები. იხ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლი.

მეორე ის, რომ შემთხვევაზე მისული პატრულ-ინსპექტორებს ხშირ შემთხვევაში არანაირი ინფორმაცია არ აქვთ იმ ოჯახზე, სადაც მიდიან. ისინი პირველად ხვდებიან მოძალადეს და მსხვერპლს. ეს ართულებს მათ მიერ სიტუაციაში სწორად გარკვევის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, წარსულში მათთვის დაკისრებული უბნის-ინსპექტორის მოვალეობების შესრულების გამო, უფრო კარგად იცნობენ თითოეულ უბანს, თითოეულ სამეზობლოს და თითოეულ ოჯახს. საპატრულო პოლიციის მსგავსად, ისინიც აღჭურვილი არიან შესაბამისი ტექნიკით, რათა დროულად მივიდნენ შემთხვევის ადგილზე. დიდი განსხვავება, რაც უფრო მეტად ქმნის იმის საფუძველს, რომ ოჯახური ძალადობის მიმდინარე შემთხვევებზე რეაგირება უნდა მოახდინოს კრიმინალურმა პოლიციამ არის ის, რომ სწორედ ისინი ახდენენ ძირითადად შემაკავებელი/დამცავი ორდერის შესრულებაზე ზედამხედველობას. გამოდის რომ საპატრულო პოლიცია ოჯახურ კონფლიქტზე მუშაობას ასრულებს, იქ სადაც გამოსცემს შემაკავებელ ორდერს და არ ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს. ორდერის გამოცემის შემდეგ საქმეს ზედამხედველობას უწევს კრიმინალური პოლიცია, ხოლო თუ შემაკავებელი ორდერი დაირღვა, ფაქტზე ისევ მიდის საპატრულო პოლიცია. პრობლემას ქმნის ისიც, რომ კრიმინალურ პოლიციას ჩამოერთვა უბნის ინსპექტორის უფლებამოსილება და იგი გადაეცა სრულიად ახალ დანაყოფს მართლწესრიგის სამსახურს, რომლის პირდაპირი ვალდებულებაცაა, ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოება ადმინისტრაციული კუთხით. აღნიშნული გადაწყვეტილება არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან მართლწესრიგის ოფიცრებს ტერიტორიულობის გათვალისწინებით ევალებათ კარგად იცოდნენ თითოეული ოჯახი, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს. ეს მათ საშუალებას აძლევთ სწორად განსაზღვრონ ამა თუ იმ ოჯახში მომხდარი ძალადობის საშიშროება, ისინი კარგად იცნობენ მსხვერპლის და მოძალადის პიროვნებას, ამიტომ ყველაზე სწორი გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ. აღნიშნულ სამსახურთან მიმართებითაც არსებობს პრობლემები. მართლწესრიგის ოფიცრები მუშაობენ კვირაში 5-6 დღე, დღის საათებში. მათ კარგად შეუძლიათ იმუშაონ დღის საათებზე ძალადობის რისკ ოჯახებთან პრევენციის კუთხით, მაგრამ პრაქტიკაში, ოჯახურ ძალადობათა უმრავლესობა ხდება ღამის საათებში, ანუ როდესაც მართლწესრიგის ოფიცრების სამუშაო დღე ამოწურულია, რასაც ისევ მივყავართ იქამდე, რომ ოჯახურ ძალადობის შემთხვევებზე უნდა გავიდეს საპატრულო ან კრიმინალური პოლიცია. ყოველივე ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო ვფიქრობ უნდა შემუშავდეს ძალადობის ფაქტებზე ერთიანი მიდგომა. უნდა არსებობდეს ისეთი სამსახური, რომელიც

ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ვითარებაში იმუშავებს ოჯახში ძალადობის კუთხით, გამოავლენს რისკის ქვეშ მყოფ ოჯახებს, აღმოფხვრის ოჯახში ნეგატიურ პრობლემათა გამომწვევ მიზეზებს,[32] ასეთ სამსახურად ჩამოყალიბების ყველაზე კარგი პერსპექტივა კი ყველაზე მეტად მართლწესრიგის სამსახურს აქვს.[33]

§5. პრაქტიკაში არსებული სხვა სახის პრობლემები

ოჯახში ძალადობის საქმის წარმოება მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში პატრულ-ინსპექტორებს ხშირად ისეთ შემთხვევებთან უწევთ შეხვედრა, სადაც მათ ერთდროულად რამდენიმე გადაწყვეტილების მიღება უწევთ, რომელთა შორისაც არის ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, როგორიც არის გამომძიებლისთვის ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის ფაქტის შესახებ შეტყობინება. ხშირია შემთხვევები, როდესაც „112“-ის გადაუდებელი ზარების სამსახურში შეტყობინება შედის, როგორც ოჯახური კონფლიქტი/ძალადობა, თუმცა ადგილზე მისული პოლიციელი ხედავს, რომ სახეზეა არა ოჯახური ძალადობა, არამედ სამეზობლო ან საოჯახო ყოფითი დავა, რასაც თან ახლავს ურთიერთდაპირისპირება. ასეთი შემთხვევებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ქონებრივი დავები ოჯახის წევრებს შორის. მიუხედავადა იმისა, რომ ადგილზე მისვლისას შეიძლება სიტუაცია იყოს იმგვარი, რომ ოჯახის წევრებს შორის არსებობდეს რაიმე სახის ძალადობის ფაქტი, შესაძლებელია, რომ გამოძიება დასაწყები იყოს არა სსკ-ის 126[1], არამედ სსკ-ის სხვა შესაბამისი მუხლით. (მაგ: 117 ან 126 მუხლით, დამდგარი შედეგის შესაბამისად) ვფიქრობ ოჯახში მომხდარი ძალადობა ყოველთვის არ გვაძლევს 126[1] მუხლის შემადგენლობას. საოჯახო ქონებრივი დავები უნდა მოგვარდეს სამოქალაქო სამართალწარმოების გზით, რაც შეეხება მის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულს, იგი არ უნდა იძლეოდეს კლასიკური სახით ოჯახში ძალადობის მუხლის შემადგენლობას და ასეთი ქმედების მიმართ უნდა არსებობდეს სხვაგვარი მიდგომა, ვიდრე ოჯახში ძალადობის კლასიკური შემთხვევების მიმართ.

---

[32] ლელა მეტრეველი - ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017, გვ.63

[33] წულაია ზ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2005, გვ.400-401

პრაქტიკაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ასევე ე.წ. მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრების არ არსებობა. მსუბუქი ძალადობის და ახლო ნათესაური კავშირების შემთხვევაში, მსხვერპლები ხშირად თავს იკავებენ ძალადობის ფაქტის დაფიქსირებისგან. ისინი ამბობენ, რომ მათ არ სურთ, რომ ოჯახის წევრი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელები მათ „ცუდად მოიქცნენ", ბედის ანაბარა დატოვონ. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრებს შორის არ ყოფილა ძალადობის რომელიმე სახე, თუმცა მსხვერპლი ითხოვს მისგან ნასვამი ოჯახის წევრის გარიდებას მცირე ხნით ან შიშობს, რომ შესაძლებელია ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ოჯახის წევრმა ჩაიდინოს ძალადობა. ამ პრობლემას მარტივად ხსნიდა ე.წ. „გამოსაფხიზლებლების" არსებობა, რაც ასეთი შემთხვევების გადაწყვეტის საუკეთესო გზად ითვლებოდა და რომლებიც სამწუხაროდ დღეს აღარ არსებობს.

თავი III

ოჯახში ძალადობის პრევენციის სხვა პრობლემური ფაქტორები

§1. დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოებისადმი

ოჯახში ძალადობის პრევენციის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საწყისია ძალადობის მსხვერპლსა და პოლიციას შორის ნდობის ჩამოყალიბება ზოგადი და კონკრეტული კუთხით. პოლიციისადმი დამოკიდებულების შეცვლა, მის მიმართ ნდობის ამაღლება ეფუძნება სახელმწიფო ორგანოების კვალიფიციურ მუშაობას, პოლიციის პოპულარიზაციას, აქტიურ სარეკლამო კამპანიას და საზოგადოების ინფორმირებულობას. საზოგადოებაში პოლიციის მიმართ კარგი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია, რათა გაიზარდოს მიმართვიანობის შემთხვევები ოჯახში ძალადობის ფაქტებზე.[34] მსოფლიოში, პოლიცია არის ის ორგანო, რომელსაც

[34] მაგალითისთვის შსს-მ 2016 წლის დეკემბერში განახორციელა კამპანია #ძალანდობას, რომელშიც საზოგადოება აქტიურად ჩაება.

საზოგადოება[35] ყველაზე კრიტიკულად აფასებს და საკმაოდ დიდი ნაწილი არ ენდობა მას. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემურია მდგომარეობა საქართველოში, სადაც პოლიციის მიმართ ნდობა და მიმართვიანობა ძალიან მცირეა. ამ ყველაფერზე დიდი გავლენა აქვს ქართული კულტურის მიერ ძალადობის პრობლემების მოგვარების ფორმად აღიარებას და სამართალის თვითაღსრულების იდეას. ეს მიდგომები დღეს ძალიან სწრაფად იცვლება და პოლიციის ნდობა საზოგადოებაში იზრდება, რასაც ხელს უწყობს პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობა. მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, ოჯახში ძალადობის თითოეულ ფაქტზე, საზოგადოების წევრებს პოლიციასთან ურთიერთობა აქვთ კონკრეტულ დონეზე, და პოლიციელების თითოეული ქმედება თუ გადაწყვეტილება უშუალოდ აისახება მათ შორის თანამშრომლობაზე. ამ ეტაპზე აუცილებელი ხდება პოლიციის მხრიდან საკუთარი საქმის პროფესიონალურ დონეზე შესრულება. პოლიციელებს ხშირად არ სურთ ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოება,[36] რაც ასევე პრობლემაა. ის მიზეზები, რაც ამას განაპირობებს არის პრაქტიკული ხარვეზები, დიდი სამუშაო დრო და ძალისხმევა.[37] პოლიციელმა უნდა მოიპოვოს მსხვერპლის ნდობა. აუცილებელია მან შეუქმნას მსხვერპლს შესაბამისი გარემო, გამოხატოს მის მიმართ ემპათია, შესთავაზოს მას დახმარების გზა და მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნას, რა რეაგირება მოჰყვება მსხვერპლის მიმართ განხორციელებულ ძალადობას. მსხვერპლმა იმის გამო, რომ პოლიციასთან ურთიერთობს, არ უნდა იგრძნოს შიში და სიმარტოვე მოძალადის წინაშე. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რომ პოლიციელმა გამოხატოს რეალური დაინტერესება მსხვერპლის მდგომარეობით. სამწუხაროდ წარსულში ასევე ხშირად ჰქონია ადგილი სამართალდამცავების მხრიდან მსხვერპლის მიმართ არასერიოზულ დამოკიდებულებას ან მსხვერპლისთვის ინფორმაციის სრულყოფილად არ მიწოდებას, რაც გავლენას ახდენს მსხვერპლის თანამშრომლობაზე. მაგალითისთვის: თუ პოლიციელი, რომელიც ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებს, განწყობილი იქნება იმ იდეით, რომ „ოჯახში მომხდარი მხოლოდ ოჯახის საქმეა და იქვე უნდა მოგვარდეს“, შეუძლებელია

[35] ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა „NDI-ის და CRRC კავკასიის კვლევის ცენტრის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, 100 რესპოდენტიდან პოლიციის მიმართ ნდობა აქვთ გამოკითხულთა 67%-ს

[36] T.L. Roleff – Domestic Violence, (J.Leigh - Mandatory Arrest Laws Can Reduce Domestic Violence) 2004წ. გვ.114-115

[37] ოჯახური ძალადობა(სტუდენტის სახელმძღვანელო), ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", 2002წ, თავი 2.2

მსხვერპლს გაუჩნდეს მის მიმართ ნდობა და ითანამშრომლოს პოლიციასთან.[38] ოჯახში ძალადობის რაიმე სახით გამართლება პოლიციელისგან დაუშვებელია და სწორედ ამ კუთხით „უყურებს“ აღნიშნულ საკითხს შინაგან საქმეთა სამინისტრო.[39] თითოეული პოლიციელის უკან დგას რიგითი საზოგადოების წევრი, რომელსაც სხვების მსგავსად ჰყავს ოჯახის წევრები, ნათესავები, რომლებიც შეიძლება თავად გახდნენ ძალადობის მსხვერპლი, ამიტომ პოლიციელმა საკუთარი თავი უნდა ჩააყენოს მსხვერპლის მდგომარეობაში და ასეთი მიდგომით იქონიოს ურთიერთობა მსხვერპლთან. ამ ყველაფრის ფონზე ცხადია, რომ ურთიერთობა პოლიციასა და საზოგადოებას შორის ორმხრივია. თუმცა პოლიციის როლი უფრო დიდია. ის ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგას, რათა მოიპოვოს საზოგადოების ნდობა.

§2. კულტურა, ტრადიცია, რელიგია

ოჯახში ძალადობა უნივერსალური პრობლემაა. იგი არ არსებობს მხოლოდ ერთი კონკრეტული სახის საზოგადოებაში, არამედ ყველა კულტურას და ერს ახასიათებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ძალადობა საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, ხოლო საზოგადოება მოიცავს ოჯახურ ურთიერთობებსაც. ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული წესები, ტრადიციები, კულტურული, ისტორიული, რელიგიური ფაქტორები ერთი მხრივ ოჯახში ძალადობას შეიძლება პროვოცირებას უწევდეს, ხოლო მეორე მხრივ ხელს უშლიდეს ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენას და მის პრევენციას. სახელმწიფო მოწადინებული უნდა იყოს, რომ აღმოფხვრას ის სტერეოტიპული შეხედულებები, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობას, ეს კი ძირითადად შესაძლებელია საზოგადოებასთან, აქტიური მუშაობით და რაც მთავარია მამაკაცების აქტიური ჩართულობით.[40] იმის და მიხედვით, თუ რა ღირებულებებზე დაყრდნობით ხდება ადამიანის აღზრდა, განისაზღვრება ის თუ, რამდენად დიდია რისკი იმისა, რომ მომავალში ეს ადამიანი გახდეს მოძალადე

[38] იხ. ევროპული სასამართლოს საქმე. Bevacqua and S. v. Bulgaria, 2008წ.

[39] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №78-ე ბრძანების თანახმად საშტატო იარაღით აღჭურვილი პოლიციელის მიმართ შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემა არის მის მიმართ დისციპლინარული ზომის გამოყენების საფუძველი

[40] A. Harvey, C. Garcia-Moreno, A. Butchart - Primary prevention of intimate-partner violence and sexual violence, 2007, გვ.24

ან მსხვერპლი. საქართველო, როგორც ევროპული და აზიური კულტურის შერწყმის ადგილი გამოირჩევა ორივე ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ქართული კულტურა ეფუძნება ოჯახის ერთიანობის იდეას და ოჯახური ცხოვრება აღიქმება, როგორც სახელმწიფოსგან განყენებული ურთიერთობები, რომელში ჩარევა არავის არ შეუძლია თვით ამ ოჯახის წევრების გარდა. აღნიშნული მიდგომა წლების განმავლობაში ოჯახში მომხდარ ძალადობრივ ფაქტებს გამჟღავნების მიღმა ტოვებდა. მსხვერპლი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, ნათესავების, თუ საკუთარი ძალით ცდილობდა ძალადობის შეწყვეტას და ხშირად თავს იდანაშაულებდა კიდეც ძალადობაში, რაც სახელმწიფოს ყველა გზას უჭრიდა რეაგირება მოეხდინა ძალადობაზე. მეორე ფაქტორი, რაც ასევე მნიშნელოვანია არის ქალის როლი ქართულ ცნობიერებაში. საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა. ქრისტიანობა, მართალია მცირედ, თუმცა მაინც სხვა რელიგიების მსგავსად ახდენს ქალის და კაცის დიფერენციაციას.[41] ქალის და კაცის როლების ასეთი განსხვავება ხშირად კონკრეტულ სქესს უქმნის ისეთ შეხედულებას, რომ იგი მეორე სქესზე აღმატებულია და უნდა იმორჩილებდეს მას, შესაბამისად მწვავედ დგას გენდერული უთანასწორობის პრობლემა. საქართველოში ბევრ ქალს ძირითადი უფლებები შეზღუდული აქვს. მაგ. პრაქტიკაში ყველაზე ხშირია, როდესაც ქალს შეზღუდული აქვს შრომის და განათლების უფლება. მესამე ფაქტორი, რაც კულტურულ ურთიერთობებს ახასიათებს, არის ის რომ იგი ხშირად არის აგრესიული ხასიათის. ამის მრავალი მიზეზი არსებობს.[42] დიდი ხნის განმავლობაში ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნეოდა ძალადობაზე ძალადობრივად პასუხის გაცემა და ასეთ შემთხვევებში პოლიციის ჩაურევლობა.[43] მსხვერპლებს ყოველთვის ერჩივნათ აეტანათ ძალადობა, ვიდრე გაქცეულიყვნენ მოძალადისგან და ნათესავების და საზოგადოების თვალში „შერცხვენილიყვნენ“. ზემოთ აღნიშნული მიდგომები თანდათანობით იცვლება. იმ ფონზე, რომ გაიზარდა პოლიციის როლი, ასევე დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ, ძირეული ცვლილებები ხდება ქართულ კულტურულ ცნობიერებაში. ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს, თუმცა ვფიქრობ საზოგადოებამ უკვე დაინახა, ის რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ ოჯახის საქმე არ არის. მოსახლეობის ინფორმირება არის უპირველესი

[41] ბიბლიაში აქტიურად არის გამოხატული ქალის მამაკაცისადმი მორჩილების იდეა. მაგ. “ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალშია საკადრისი“ - კოლოსელთა 3:18

[42] შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, 2012, გვ.34-45

[43] World Health Organization – Violence Prevention The Evidence, გვ.98

საწინდარი ძალადობრივი ურთიერთობების შეცვლისა.[44] ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ოჯახის ერთი წევრის მიერ, ოჯახის სხვა წევრის შეურაცყოფა არა ჩვეულებრივი მოვლენა, არამედ სახელმწიფოს მიერ დასჯადი ქმედება. ვფიქრობ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ სულ უფრო და უფრო მეტად გაუმარტივოს მსხვერპლებს კულტურული ბარიერების გადალახვა.[45] ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ძირეული კულტურული ცვლილებებით, რომელშიც სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოებაც აქტიურად უნდა ჩაერთოს.

§3. მასმედია და საზოგადოების ჩართულობა პრევენციის პროცესში

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ერაა, რაც კიდევ უფრო ამარტივებს ფართო საზოგადოებაში ინფორმაციის გაცვლის პროცესს. საინფორმაციო მედიის ისეთ კლასიკურ სახეებს, როგორიცაა: პრესა, რადიო და ტელევიზია, მიემატა კიდევ ერთი გლობალური საინფორმაციო სივრცე - ინტერნეტი. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს მრავალმხრივად. ერთი მხრივ ეს ხდება საკანონმდებლო ცვლილებების, სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკული საქმიანობით, მსხვერპლთან და მოძალადესთან მუშაობით, ხოლო მეორე მხრივ ინფორმაციული ბრძოლით ამ უარყოფითი მოვლენის წინააღმდეგ[46]. დღეს ადამიანთა უმრავლესობა ინფორმაციას სწორედ ინტერნეტის საშუალებით ეცნობა. თუკი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საინფორმაციო ბრძოლას მოვიაზრებთ, როგორც სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სექტორის აქტიურ საქმიანობას, იმისათვის რომ მოხდეს ოჯახში ძალადობის პრევენცია, ფაქტია, რომ ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია საზოგადოებისთვის ოჯახში ძალადობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება[47] და ეს განსაკუთრებით ეხება რეგიონებს. ინფორმაციის

---

[44] ლელა მეტრეველი - ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017, გვ.62

[45] მსხვერპლისთვის მოძალადესთან განქორწინება სასამართლო გზით შეიძლება წარმოადგენდეს ძალიან დიდ პრობლემას, რადგან ოჯახის დანგრევა ჯერ კიდევ ტრადიციულად გაუმართლებლად მიიჩნევა, ამიტომ სახელმწიფომ მსხვერპლს უნდა შესთავაზოს უფრო მარტივი გზა, მაგ. შემაკავებელი ორდერის საფუძველზე განქორწინების შესაძლებლობა არასასამართლო გზით.

[46] Brenda J. Simpson & Associates - Prevention and Early Intervention for Domestic Violence, 2014, გვ.33-35

[47] გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტების შედეგად ჩადენილი ძალადობით დანაშაულობა, თბილისი, 2004, გვ.142-143

მიწოდების პარალელურად აუცილებელია აქტიური სოციალური და სარეკლამო კამპანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს: სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივობებს, ზოგადად ძალადობის და მათ შორის ოჯახში ძალადობის აღკვეთისკენ მიმართულ სპორტულ, ახალგაზრდულ, შემეცნებით ღონისძიებებს. ვინაიდან ოჯახში ძალადობა სოციალური ურთიერთობების პირმშოა, შესაბამისად მას ისევ სოციალური ერთიანობით თუ დავამარცხებთ, საზოგადოების გაერთიანება მის წინააღმდეგ კი ძალიან მარტივია მედიის საშუალებით. ამ უკანასკნელმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს, რომ არ მოახდინოს ძალადობის პოპულარიზაცია.[48] აუცილებელია სოციალურ ბრძოლაში აქტიურად ჩაერთოს არასამთავრობო სექტორი, მათ შორის სამეწარმეო სექტორი, ასევე სპორტული თუ საგანმანათლებო დაწესებულებები. ერთი კონკრეტული მსხვერპლის დახმარება ძალიან დიდი საქმეა, თუმცა უფრო მეტ ადამიანს დავეხმარებით იმით, თუ ვაჩვენებთ მათ რომ ამ ერთმა, კონკრეტულმა მსხვერპლმა ოჯახში ძალადობა დაამარცხა, ამიტომ მათი სურვილის გათვალისწინებით კარგი იქნება თუ საზოგადოებას თავად მსხვერპლები მოუყვებიან თავიანთ წარსულ გამოცდილებაზე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ინფორმაცია ოჯახში ძალადობის შესახებ ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკიდან მიეწოდებოდეს მომავალ თაობას. უნდა მოხდეს მათი აღზრდა იმ ღირებულებებზე, რომელიც მოიცავს გენდერულ თანასწორობას, ძალადობის დაგმობას, ურთიერთპატივისცემას და სიყვარულს.

თავი IV

ოჯახში ძალადობის კრიმინოგენული შესწავლა, როგორც პრევენციის გზა (კვლევა და მისი შედეგები)

§1. მსხვერპლის მდგომარეობა და დამოკიდებულება ძალადობის მიმართ

[48] შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, 2012, გვ.198-200

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მდგომარეობის შესწავლა ერთდროულად სოციოლოგების, იურისტების და ფსიქოლოგების სამუშაო სფეროს წარმოადგენს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არ ჰგავს ტიპიური ძალადობის მსხვერპლს. პრაქტიკაზე დაკვირვებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმეტესობას, ოჯახური ძალადობა მიაჩნია საზოგადოების მიერ აღიარებულ მოვლენად, რასთან შეგუებაც ყველა ადამიანს ევალება. სამწუხაროდ საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები ემყარება იმ ფაქტს, რომ ოჯახში ძალადობა ჩვეულებრივი და მიღებული და მეტიც, მთელ რიგ შემთხვევებში გამართლებულია, ამიტომ ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოძახებაზე მისულ პოლიციელებს უწევთ მსხვერპლისგან იმის მოსმენა, რომ იგი მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას გარკვეულწილად ამართლებს, თავს იდანაშაულებს მოძალადის ქცევაში.[49] ამ მიზეზის გამო ფსიქოლოგიური ძალადობის ძალიან ბევრი შემთხვევის გამოვლენა საერთოდ არ ხდება. მსხვერპლის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები. პრაქტიკაში მომხდარ შემთხვევათა უმრავლესობაში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი დაუსაქმებელია. ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე ერთი მხრივ ხელს უწყობს მოძალადეს საკუთარი პიროვნების მსხვერპლზე უკეთესად აღქმაში, ვინაიდან სწორედ ის „არჩენს“ ოჯახს, ხოლო მეორე მხრივ მსხვერპლს უჩენს უუნარობის განცდას ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ და უჭრის ყველა გზას, რომ შეძლოს ცხოვრება მოძალადისგან დამოუკიდებლად, ეკონომიკური პრობლემების გარეშე[50]. მსხვერპლს არც ნათესავების იმედი აქვს, რადგან იცის, ნათესავების აზრი ოჯახიდან წამოსვლასთან დაკავშირებით უარყოფითია. ასეთ დროს აუცილებელია მსხვერპლს გვერდით დაუდგეს სახელმწიფო, მთელი რიგი სამართლებრივი და სოციალური დაცვის მექანიზმებით. მიუხედავად ამ ყველაფრისა, არც თუ ისე იშვიათია ოჯახში ძალადობის ისეთი შემთხვევები, როდესაც მსხვერპლიც და მოძალადეც დასაქმებულია, აქვს კარგი ანაზღაურება და სამუშაო პირობები. სწორედ ამიტომ მიიჩნევა ოჯახში ძალადობა უნივერსალურ და ძალიან რთულ შემთხვევად, რადგან ის გამოვლინებას ჰპოვებს ყველა სახის საზოგადოებაში და არ ახასიათებს ტიპოლოგია. შიში თავისთავად არის მსხვერპლის ქცევის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაპროვოცირებელი ფაქტორი. ძალადობა თავისთავად იწვევს მსხვერპლში შიშს. მას ერთი მხრივ აქვს იმის შიში, რომ თუ ძალადობას შეატყობინებს ვინმეს, მოძალადე მას შესაძლოა ფიზიკურად გაუსწორდეს ან მის სიცოცხლესაც კი დაემუქროს საფრთხე, ხოლო მეორე მხრივ მსხვერპლს ეშინია

[49] შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2011წ, გვ.51.
[50] C.B Lopez, R.Natelson - Domestic Violence in the United States, 2011წ. გვ.48

დამოუკიდებლობის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ის მოძალადეზეა დამოკიდებული და უწევს ცხოვრების მარტო გაგრძელება, რაც დიდხნიანი თანაცხოვრების შემდეგ ძალიან ურთულდება. მსხვერპლების უმეტესობას აქვს ცვლილებების შიში. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლებს არ აქვთ ძალადობის სწორი აღქმა. ისინი, ხშირად მიიჩნევენ, რომ მოძალადე ძალადობას მხოლოდ მაშინ ახორციელებს, როდესაც ალკოჰოლს მიიღებს ან აზარტულ თამაშებში წააგებს, ან ფინანსურად უჭირს, ხოლო ვინაიდან ასეთ ძალადობას არ აქვს ხშირი ხასიათი თვლიან, რომ დახმარება არ საჭიროებენ, რაც მცდარია, რადგან ოჯახში ძალადობას ახასიათებს განვითარების და ინტენსივობის დინამიკა, რასაც მსხვერპლი თავდაპირველად ვერ აცნობიერებს. პრაქტიკაში გავრცელებული ყველაზე ხშირი შემთხვევები, როდესაც მსხვერპლის დამოკიდებულება ძალადობის მიმართ რადიკალურად იცვლება არის ძლიერი ფიზიკური ძალადობა და შვილების მიმართ განხორციელებული ძალადობა.[51] ამ ორ შემთხვევაში, როგორც წესი მსხვერპლი ლახავს ფსიქოლოგიურ და ემოციურ ბარიერს და ძალადობის შესახებ ატყობინებს შესაბამის ორგანოებს. გავრცელებული ფაქტორი, რაც მსხვერპლის ქცევას ახასიათებს არის მოძალადის მიმართ სიბრალული. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი თანაუგრძნობს მოძალადეს. ეს შეიძლება გამოწვეული მოძალადის მიერ „თავის შეცოდებით“, მისი ავადმყოფობით ან მსხვერპლის მიერ მოძალადის დახმარების სურვილით. ასეთი სახის მოძალადე უფრო ფრთხილია და საკუთარ ძალადობას ყოველთვის ამართლებს მსხვერპლის თვალში. ხშირია, როდესაც მსხვერპლს სჯერა, რომ მოძალადე იმიტომ ძალადობს, რომ მსხვერპლი უყვარს, მისი გამოსწორება უნდა ან მისი დაკარგვის ეშინია. მსხვერპლების უმეტესობა ასეთი ტიპის მოძალადეების მიმართ მდგრადობას ვერ იჩენს, მათში გაბრაზებას სინანული ანაცვლებს, რასაც კვლავ მოჰყვება ძალადობის ფაქტი. მსხვერპლს ხშირად ამოძრავებს ის ფაქტორი, რომ ბავშვებს ორივე მშობელი სჭირდებათ, თუნდაც მოძალადე, რის გამოც იგი თავს იკავებს მოძალადისგან წასვლაზე. ასეთ შემთხვევებში მსხვერპლი უნდა მიხვდეს იმას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი მოითხოვს, რომ ის არაძალადობრივ ოჯახში გაიზარდოს. შედარებით იშვიათია პრაქტიკაში მსხვერპლის მიერ ძალადობასთან შეგუების ისეთი მიზეზები როგორიცაა: დაბალი თვითშეფასება და ოჯახის ერთიანობის რელიგიური განცდა.

[51] Mary Barnish - Domestic Violence, 2004, გვ 59-60

§2. მსხვერპლად გახდომის რისკ-ფაქტორები

მსხვერპლი ოჯახური ძალადობის ყველაზე სუსტი და დაუცველი მხარეა. ფიზიოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უფრო მეტად ქალები ხდებიან ვიდრე მამაკაცები[52], შესაბამისად სქესი ოჯახში ძალადობის მსხვერპლად გახდომის ერთ-ერთი პირველი მახასიათებელია. ამას თავისთავად ხელს უწყობს გენდერული დიფერენციაცია და სტერეოტიპები, რომლებიც საქართველოში მრავლად არის გავრცელებული. სამწუხაროდ მამაკაცთა მიერ მათზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენას ხელს უშლის ის, რომ საზოგადოებრივი აზრი მსხვერპლი მამაკაცების მიმართ უარყოფითია. ასეთი ადამიანი აღიქმება სუსტ, დაჩაგრულ პიროვნებად და საზოგადოება არ იღებს მას, არ სთავაზობს დაცვის გარანტიებს, ამიტომ მსხვერპლი მამაკაცები ერიდებიან მსხვერპლობის ფაქტის გასაჯაროებას, რაც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს ოჯახში ძალადობის გენდერულ სტატისტიკაზე, თუმცა საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთმანეთზე ერთდროულად ძალადობს როგორც ქალი, ასევე მამაკაცი. მეორე ფაქტორი, რაც ასევე მნიშვნელოვანია არის ასაკი. ასაკი პირდაპირ გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად მაღალია რისკი, რომ ადამიანი ძალადობის მსხვერპლი გახდეს. პრაქტიკაში უფრო ხშირად ძალადობის მსხვერპლები ხდებიან ახალგაზრდა ასაკის ადამიანები. ეს შესაძლებელია გამოწვეულია იმით, რომ ისინი უფრო ღიად საუბრობენ მათ მიერ გადატანილ ძალადობაზე, მაშინ როდესაც ასაკოვანი მსხვერპლი საერთო აზრის, კულტურულ თუ ტრადიციულ ფონზე, ერიდება ძალადობის ფაქტის გასაჯაროებას.[53] პრაქტიკულმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდები ძირითადად მსხვერპლები ხდებიან მათი სასიყვარულო პარტნიორების ან მეუღლეების მხრიდან, მაშინ როდესაც შედარებით მაღალ ასაკობრივ ზღვარს მიღწეული ადამიანები ძალადობას ძირითადად განიცდიან, შვილების ან დედმამიშვილების მხრიდან. ამასთან ძალადობა უფრო ხშირია მრავალრიცხოვან ოჯახებში, ვიდრე იმ ოჯახებში, სადაც ნაკლები ოჯახის წევრია.

---

[52] საქსტატის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის - „ქალი და კაცი საქართველოში“ მიხედვით 2017 წელს საქართველოში მსხვერპლთა შეფარდება სქესის მიხედვით არის ქალი - 88%, მამაკაცი - 12%.

[53] S.Kishor, K.Johnson - Profiling Domestic Violence, 2004, გვ.28

ეს შეიძლება იმით, იყოს გამოწვეული, რომ მრავალრიცხოვან ოჯახებში ხშირად რამდენიმე თაობის წარმომადგენლები ცხოვრობენ ერთად და აზრთა სხვადასხვაობა და განსხავებულ შეხედულებები უფრო მეტ ოჯახურ დაძაბულობას ქმნის. ბოლო დროს შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ხდებიან ახალგაზრდები, რომლებიც ოჯახურ ურთიერთობაში იმყოფებიან განსხვავებული ეროვნების ადამიანებთან. სამწუხაროდ კვლევა, თუ რა შეიძლება იწვევდეს ამ ფაქტს დღემდე არ ჩატარებულა, რაც ართულებს მისი გამომწვევი მიზეზების დასახელებას, თუმცა ამას შესაძლოა გარკვეულწილად იწვევდეს ოჯახის წევრებს შორის არსებული კულტურული, ენობრივი, სოციალური განსხვავებები. აღსანიშნავია, რომ ოჯახურ ძალადობას ხშირი ხასიათი აქვს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში. ეს განსაკუთრებით, თავს იჩენს რეგიონებში, თუმცა ასეთი შემთხვევები დედაქალაქშიც გავრცელებულია. არსებობს თეორია[54], რომ ადამიანები მსხვერპლები ხდებიან იმის, გამო რომ მათ ბავშვობაში ერთხელ უკვე გადაიტანეს ძალადობა, რომელიც მათზე ან მათ ახლობელზე განხორციელდა, რაც პრაქტიკული დაკვირვებით ნაკლებად სავარაუდოა. ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტი, რომ ოჯახურ კონფლიქტთა დიდ რაოდენობაში, მსგავსი მოცემულობა არ გვხვდება და მსხვერპლი ამბობს, რომ წარსულში მსგავსი რამ არ გადაუტანია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური ძალადობა საზოგადოების ყველა ფენას ახასიათებს, მსხვერპლად გახდომის კიდევ ერთი რისკ-ფაქტორია - დაბალი განათლების დონე[55]. გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი გამოვლინება არის ნაკლები შესაძლებლობა ქალისთვის განათლების მიღებაზე. ქალთა განათლების დაბალი დონე კი კავშირშია ძალადობასთან იმ კუთხით, რომ ასეთ ქალებს უჭირთ ძალადობასთან გამკლავება, მათ უფრო ნაკლები ინფორმაცია აქვთ, რომ არსებობს შესაძლებლობა თავი დააღწიონ მოძალადეს, არ იცნობენ საკუთარ უფლებებს და შესაბამისად ვერ ახდენენ საკუთარი თავის დაცვას ძალადობისგან. მსხვერპლად გახდომის მაღალი რისკის ქვეშ შედიან ადამიანები, რომლებსაც ოჯახში არ ჰყავთ დასაქმებული ოჯახის წევრები. უმუშევრობა ერთი მხრივ ქმნის დაძაბულობას ოჯახში, ხოლო მეორე მხრივ თვითრეალიზების პრობლემა გამოიხატება აგრესიაში, რომელიც ოჯახის წევრების მიმართ ვლინდება.[56] და ბოლოს რა. თქმა უნდა მსხვერპლობაზე გავლენას ახდენს ადამიანის

[54] იხ. თეორია სწავლა დაკვირვების შედეგად. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2011წ. გვ.54

[55] S.Kishor, K.Johnson - Profiling Domestic Violence, 2004, გვ.31

[56] შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2011წ. გვ32

პიროვნული თვისებები, ვინაიდან მსხვერპლის ტიპიური პროფილი ძირითადად დამყოლი ხასიათის, მშვიდ და გაწონასწორებული ხასიათის ადამიანებს მოიცავს.

§3. მოძალადის პროფილი და მისი ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორები

ოჯახში ძალადობის გამომწვევი უპირატესი მიზეზი მოძალადის სურვილია ძალაუფლება და კონტროლი მოიპოვოს მსხვერპლზე, ხოლო მოძალადის ეს სურვილი შეიძლება უკავშირდებოდეს სხვადსხვა მაპროვოცირებელ ფაქტორებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია - მოძალადის პიროვნული შეხედულებები და სქესთა აღმატებულების იდეა. პრაქტიკაში, მოძალადისგან ახსნა-განმარტების მიღებისას ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ მოძალადე მამაკაცი თავის ქცევას უკავშირებს იმას, რომ ქალი არის მამაკაცის დაქვემდებარებაში მყოფი, შესაბამისად იგი უნდა ასრულებდეს მამაკაცის მითითებებს. ასეთი სახის მოძალადეები ვერ იტანენ მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას და ყოველ ასეთ სიტუაციაში იყენებენ, ძირითადად ფიზიკურ ძალადობას, რათა აიძულონ მსხვერპლი შეასრულოს მათი მითითებები. პრაქტიკული კვლევისას მოძალადეები ხშირად განმარტავდნენ, რომ მამაკაცი არის ოჯახის მარჩენალი, მაშინ როდესაც ქალს ევალება სახლის საქმეების გაძღოლა. თუ ქალი ამ მოცემულობას გადაუხვევს მაშინ იგი ხდება ძალადობის მსხვერპლი. ამასთან დაკავშირებით პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც მამაკაცი მეუღლეს უკრძალავდა მისი ნიჭის რეალიზებას, კერძოდ მხატვრობით დაკავებას და საკუთარი ნამუშევრების რეალიზაციას. მოძალადე მის ნამუშევრებს ამცირებდა და უშლიდა მხატვრობას, რითაც მუდმივ ფსიქოლოგიურ ძალადობაში ჰყავდა მეუღლე. ასევე იყო შემთხვევა, როდესაც ფიზიკური ძალადობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მამაკაცს არ მოეწონა მისი მეუღლის შეღებილი ფერის თმა. ეს შემთხვევები ტიპიური მაგალითია ძალაუფლების და კონტროლის განხორციელებისა მოძალადის მხრიდან. საქართველოში ზემოთთქმული იდეის პოპულარობის პარალელურად, გავრცელებულია მოძალადის მიერ ძალადობის მაპროვოცირებელი ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ალკოჰოლზე, ნარკოტიკზე ან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ ძალადობათა

დიდი ნაწილი ხდება მაშინ, როდესაც მოძალადე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშაა.[57] ხშირად ალკოჰოლის მიღებას მუდმივი ხასიათი აქვს. ალკოჰოლი ამძაფრებს მოძალადის უარყოფით თვისებებს. ამ დროს მას ეძლევა გამბედაობა და ალბათობა, რომ იძალადოს უფრო მეტად იზრდება.[58] საქართველოში საკმაოდ ხშირი ხასიათი აქვს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების მიერ ოჯახში ძალადობას. ასეთი ადამიანები ხშირად თამაშის წაგებული სტრესის თუ ხელახლა თამაშის სურვილის გავლენით დაგროვილ უარყოფით ემოციას სწორედ ოჯახის წევრებზე ძალადობით გამოხატავენ. მეორე შემთხვევაა, როდესაც მოთამაშე თამაშის ფულის შესაგროვებლად ოჯახიდან ნელ-ნელა იწყებს ნივთების გაყიდვას, დაგირავებას და ბოლოს ამას შეიძლება მისი საცხოვრებლის გარეშე დარჩენაც მოჰყვეს[59]. ოჯახური ცხოვრების პირობებში ადამიანების ნივთებზე დამოკიდებულება ემოციურად ძალიან დიდია, ამიტომ მოძალადის მხრიდან ნივთების დამტვრევა, გაყიდვა ან სხვა სახით გამოყენება ძალიან დიდ ფსიქოლოგიურ ძალადობას ახდენს მსხვერპლზე, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ ძალადობაზე. საქართველოში ოჯახში ძალადობის მაპროვოცირებელი კიდევ ერთი ფაქტორია ეჭვიანობა. მოძალადე, რომელიც ეჭვიანობის ნიადაგზე ძალადობს, რა თქმა უნდა ისეთი მოძალადის სახეა, რომელსაც სურს კონტროლი გააჩნდეს მსხვერპლზე.[60] ხშირად ასეთი სახის მოძალადეები საკუთარ ეჭვიანობას და შესაბამისად ძალადობას ამართლებენ იმით, რომ ისინი ეჭვიანობენ მსხვერპლისადმი სიყვარულის გამო. ასეთი მოძალადეების მხრიდან ხშირია მსხვერპლის გულის მოგება ძალადობის შემდეგ. მათ გააჩნიათ დამარწმუნებელი საუბარი, ხსნიან საკუთარ საქციელს ისე, რომ მსხვერპლმა ეს მიიღოს, თუმცა ამ ყველაფერს ძალიან ხშირად მოჰყვება განმეორებითი ძალადობა.[61] პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მოძალადე ძალადობს იმიტომ, რომ მსხვერპლი მუდმივად ეჭვიანობს მის მიმართ. ასეთი მოძალადე განმარტავდა, რომ მუდმივმა ეჭვიანობამ მეუღლეზე მხრიდან კონტროლი დააკარგვინა საკუთარ თავზე, რასაც მოჰყვა ფიზიკური ძალადობა მეუღლეზე. ასეთი შემთხვევები არ ეხება მხოლოდ ეჭვიანობას. ხშირად მოძალადის ძალადობას გარკვეულწილად პროვოცირებას უწევს მსხვერპლის

---

[57] წულაია ზ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2005, გვ.388

[58] T.L. Roleff – Domestic Violence, (J.P. Flanzer - Alcohol Abuse Causes Domestic Violence) 2004წ. გვ.54-61

[59] ევროსასამართლოს გადაწყვეტილება - Munteane v. Moldova, 2011წ.

[60] Mary Barnish - Domestic Violence, 2004, გვ.49-50

[61] ავტორთა ჯგუფი (ბოჭორიშვილი მ., მესხი მ., და სხვ.), სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010წ, გვ.9

ქმედებები ან საუბარი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოძალადის ქცევა გამართლებულია, თუმცა მაგალითად: ოჯახის წევრისთვის მუდმივად იმის შეხსენება, რომ მას ცხოვრებაში არ გაუმართლა, უმუშევარია და არაფერს წარმოადგენს, შეიძლება იწვევდეს ამ ოჯახის წევრში უსუსურობის განცდას, პრობლემების, სტრესის გაორმაგებას და საპასუხო რეაქცია აღმოჩნდეს ძალადობა. თავისთავად უმუშევრობა, სიღარიბე ისედაც იწვევს ემოციურ წნეხს ოჯახის წევრებს შორის, რაც შესაძლებელია ძალადობით დამთავრდეს. ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე მისულ პოლიციის თანამშრომელს ყოველთვის უწევს მოძალადის წარსული ცხოვრების შესწავლა. გამოიკვეთა, რომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახში მოძალადე წარსულში იყო მსჯავრდებული რაიმე სახის დანაშაულისთვის. ასეთი დანაშაულები ძირითადად ძალადობრივი ან ნარკოტიკული სახის დანაშაულებია. ეს გარკვეულწილად კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ მოძალადის მსჯავრდების შემდეგ, მის მიმართ სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების გარეშე შეუძლებელია მისი გამოსწორება. პრაქტიკული კვლევისას მსხვერპლები ხშირად ასახელებდნენ, რომ მოძალადის ქცევის გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო მესამე პირის ჩართულობა ოჯახურ საქმეებში. ასეთ პირად ძირითადად მოძალადის ნათესავები გამოდიოდნენ, რომლებიც მოძალადის თვალში მსხვერპლს აკნინებდნენ, ასევე პროვოცირებას უწევდნენ მოძალადის მხრიდან მსხვერპლზე ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას. ასეთი ძალადობის ქვეშ მყოფი მსხვერპლი ორმაგად უფრო განიცდის ძალადობას და მისთვის კიდევ უფრო რთული ხდება თავი დააღწიოს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას.

§4. ძალადობის ჩადენის დრო, ადგილი, ვითარება და სხვა გარემოებები

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა ერთი მთლიანი მოვლენაა, ინდივიდუალურ დონეზე ძალადობის თითოეული შემთხვევა განსხვავებულია. ოჯახური ძალადობის უკან დგას ძალადობის პირველი აქტიდან მის გამოვლენამდე მსხვერპლისა და მოძალადის, მათთან დაკავშირებული პირების მთელი ისტორია. იმისთვის, რომ უკეთ იქნას გაგებული თუ რატომ ხდება ოჯახში ძალადობა და როგორ შეიძლება ის თავიდან იქნეს აცილებული,

თითოეული შემთხვევა კარგად უნდა იქნეს გააზრებული და დახასიათებული მისი მახასიათებლების მიხედვით, რაც ერთიანობაში გვაძლევს ოჯახში ძალადობის საერთო სურათს. პრაქტიკული კვლევისას, ოჯახში ძალადობის უდიდესი ნაწილი ხდებოდა ღამის საათებში, დაახ. 22:00 სთ-დან 07:00 სთ-მდე. აღნიშნული გარემოება ყურადსაღებია იმ კუთხით, რომ შესაძლებელია კავშირში იყოს ძალადობის ფაქტის მაპროვოცირებელ ერთ-ერთ ისეთ მიზეზთან, როგორიცაა სტრესი. ხშირად სამსახურში დაღლილი, ემოციურად დატვირთული ოჯახის წევრი სწორედ საღამოს საათებში ბრუნდება სახლში, რასაც ხშირად თან სდევს კამათი და ემოციური „აფეთქება". დღისით კი ოჯახის წევრთა უმეტესობა სამსახურში ან სახლს გარეთაა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობა გვხვდება ოჯახს გარეთ. აღნიშნულში იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ოჯახური კონფლიქტის შესახებ შეტყობინება შემოდის კაფიდან, კინოდან, სკოლიდან და ა.შ. მოძალადის სურვილი მუდმივად აკონტროლოს მსხვერპლი იწვევს იმას, რომ მან მუდმივად იცის მსხვერპლის ადგილსამყოფელი. ქუჩაში განხორციელებული ძალადობაც ჩვეულებრივ ოჯახური ძალადობაა და ქუჩის გარემოება მის მოცემულობას არ ცვლის. ოჯახში ძალადობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, როგორც უკვე ითქვა, რომ ძალადობის ფაქტების უმეტესობის ჩადენა ხდება მოძალადის მიერ ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში. ალკოჰოლი ერთი მხრივ გამბედაობას მატებს მოძალადეს და მეორე მხრივ მისგან მომდინარე საშიშროებას ერთიორად ამაღლებს. კვლევისას ოჯახში ძალადობის ჩადენის ძირითად გავრცელებულ ხერხებად გამოიკვეთა: სიტყვიერი შეურაცყოფა, სისტემატიური დამცირება, მუქარა, ცემა, არასასურველი კონტროლი, თანასაკუთრებით სარგებლობის აკრძალვა. რაც შეეხება არასასურველ სქესობრივ კონტაქტს, ამასთან დაკავშირებით მსხვერპლები ძირითადად საუბრისგან თავს იკავებენ რადგან მათთვის ეს თემა სენსიტიურია. ჩატარებული კვლევისას მსხვერპლები უფრო მეტად ითხოვდნენ თავშესაფარში გადაყვანას, ვიდრე მოძალადის საცხოვრებელი ადგილიდან გარიდებას. ამის მიზეზად ისინი ასახელებდნენ, რომ თავშესაფარში უფრო დაცულად იგრძნობდნენ თავს, ასევე სახლი მათ ძალადობის ფაქტებს ახსენებდა, ასევე თვლიდნენ, რომ დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ თავის გატანას. კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ მეუღლეებს შორის ოჯახში ძალადობა, ძალადობის ყველაზე ხშირი შემთხვევაა, თუმცა ასევე ხშირია დედმამიშვილებს შორის ძალადობის ფაქტები. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უმეტესობა აცხადებდა, რომ ძალადობა დიდი ხნის განმავლობაში, ეტაპობრივად მიმდინარეობდა და არ ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი. კვლევისას გამოვლინდა კიდევ ერთი

მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკმაოდ დიდი ნაწილი ადრეულ ასაკშია დაქორწინებული და ხშირად ისინი კარგად არ იცნობენ მათი ცხოვრების პარტნიორს. ეს პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ნაადრევი ქორწინება, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ პიროვნულად ჩამოუყალიბებელია შესაძლოა იწვევდეს კონფლიქტსა და უთანხმოებას მეუღლეებს შორის, მომავალში კი ამის ლოგიკური გაგრძელება შეიძლება აღმოჩნდეს ოჯახური ძალადობა. ოჯახური ძალადობა ძირითადად ხშირად თან ახლავს საყოფაცხოვრებო თემებზე კამათს. ასევე საინტერესოა, რომ კვლევისას ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლთა უმეტესობა მოძალადის მხრიდან ძალადობის ფაქტს უკავშირებდა მის სიმთვრალეს და აცხადებდა, რომ მოძალადე ფხიზელი სულ სხვანაირია და ითხოვდა მხოლოდ მის წერილობით გაფრთხილებას, რაც შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ აქვს კარგად გათვითცნობიერებული თუ რა არის ოჯახური ძალადობა და ამ კუთხით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

თავი V

ოჯახში ძალადობის პრევენცია მოძალადეზე ზემოქმედების გზით

სიტყვიერებაში არსებობს ისეთი ცნებები, რომლებიც უნიკალურია ნებისმიერი სახისა და კატეგორიის მოვლენისათვის. სიტყვა „პრევენცია“ სწორედ ასეთ ცნებათა რიცხვს მიეკუთვნება და ნიშნავს „წინასწარ ღონისძიებებს რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად“[62]. პრევენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად, რადგან, რაც უფრო მეტად სოციალური ხასიათისაა დანაშაული, მით უფრო რთულია მოხდეს მისი თავიდან აცილება. ოჯახში ძალადობის პრევენცია მჭიდრო კავშირშია სასჯელის მიზნებთან, თუმცა მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, ამასთან მას მთელი რიგი სირთულეები ახასიათებს, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

[62] ჯავახიშვილი ჯ., სარჯველაზე ნ., ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა, (მეთოდური სახელმძღვანელო), 2007, გვ.121

§1. ოჯახში ძალადობის პრევენციის რეპრესიული მოდელი

ოჯახში ძალადობის პრევენციის რეპრესიული მოდელი გულისხმობს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეპრესია უნდა იყოს მაქსიმალურად დროული, ეფექტური და მკაცრი. იგი გარკვეულწილად კავშირშია სასჯელის ნეგატიური გენერალური[63] და სპეციალური პრევენციის[64] თეორიებთან. საქართველოში ოჯახში ძალადობა წარმოადგენს დასჯად ქმედებას, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობით. კანონმდებლობით დადგენილია ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ოჯახში მოძალადე პირების მიმართ, რათა შემდგომში თავიდან იქნეს აცილებული ძალადობის ფაქტები. აღნიშნულ მიზანს ემსახურება შემაკავებელი და დამცავი ორდერების არსებობა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ოჯახური ძალადობისათვის. რეპრესიული მოდელის მიხედვით, ოჯახში ძალადობისთვის დადგენილი პასუხისმგებლობა უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი, ანუ ის ერთგვარად უნდა წარმოადგენდეს დაშინების მექანიზმს, როგორც მთლიანად საზოგადოებისთვის, ასევე პოტენციური მოძალადეებისთვის (გენერალური პრევენცია), რათა შემდგომში მათ მიერ, შიშის ფაქტორის გათვალისწინებით აღარ მოხდეს ძალადობის განხორციელება. ქართულ კანონმდებლობაში არსებულ პასუხისმგებლობის სახეებს არ ძალუძს, რომ მოძალადემ პასუხისმგებლობის შიშით ძალადობაზე ხელი აიღოს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ოჯახში ძალადობა მჭიდრო ოჯახურ კავშირებს უკავშირდება, ამიტომ ერთჯერადი ფსიქოლოგიური ძალადობისას შემაკავებელი ორდერი, რომელიც სანქციითი ხასიათის არ არის და მოძალადეს მაგ. მხოლოდ ერთი თვის ვადით მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან მიახლოებას, ხოლო ორდერთან ერთად მოძალადეს არანაირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ უწესდება, ვერ გადაწონის მოძალადის სოციალურ კავშირს მსხვერპლის, შვილის, მისი საცხოვრებლის თუ საერთო ქონებისადმი და ვერ მოახდენს მსხვერპლის სათანადო დაცვასაც. უმჯობესია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც არ იწყება გამოძიება, ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე, რომელიც გამოიხატა შეურაცყოფაში, მოხდეს მოძალადისთვის

[63] ვარძელაშვილი ი., სადისერტაციო ნაშრომი: „სასჯელის მიზნები“, 2016, გვ.71
[64] იგივე, გვ.81

პასუხისმგებლობის დაკისრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით წვრილმანი ხულიგნობისთვის. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, აქ მდგომარეობა კიდევ რთულია, რადგან სისხლის სამართლის კოდექსით ოჯახში ძალადობისთვის უმკაცრეს სასჯელს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით, რაც შეუფერებელია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გამოწვევებთან.[65] მისასალმებელია ის ფაქტი, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გამკაცრდა[66], ასევე გამკაცრდა სსკ-ის 126^1 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა თუმცა გაურკვეველია, რატომ არ არის გათვალისწინებული სასჯელის გამკაცრება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ოჯახური ძალადობისთვის. რაც შეეხება შემაკავებელი ორდერის დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმებას, მიმაჩნია, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის გენერალური პრევენციის მიზნის განხორციელებას, თუმცა ძალადობის სახესთან და საშიშროებასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს დიფერენციალური მიდგომა და მსუბუქი ძალადობის შემთხვევაში მიზანშეუწონელია პირდაპირ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელება და ასევე ვფიქრობ, რომ ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება, თუ იგი თავისი ხასიათით ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, უნდა იყოს მიჩნეული დამამძიმებელ გარემოებად და უნდა ისჯებოდეს უფრო მკაცრად ვიდრე ოჯახის არაწევრის მიმართ ჩადენილი დანაშაული.

§2. ოჯახში მოძალადის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

2.1. მოძალადის რეაბილიტაცია ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას

[65] ევროსასამართლოს საქმე - Opuz. v. Turkey, 2009წ.

[66] 2018 წლის 30 ნოემბერის კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ოჯახში ძალადობის პრევენციის მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მეთოდი გულისხმობს ოჯახში მოძალადეზე ზემოქმედებას, მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით და უკავშირდება ძალადობის პოზიტიურ სპეციალურ პრევენციას.[67] მხოლოდ პასუხისმგებლობის ზომა ვერ უზრუნველყოფს მოძალადის გამოსწორებას, არამედ აუცილებელია მოხდეს მოძალადის ფსიქოლოგიური და პიროვნული გამოსწორება.[68] კანონის[69] მიზნებიდან გამომდინარე, მოძალადის საზოგადოებაში ადაპტაციისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო კურსების და პროგრამების ორგანიზება, რაც მრავალი სახის შეიძლება იყოს.[70] ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე, მოძალადის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს მის მიმართ გამოყენებული არ არის პასუხისმგებლობის მკაცრი ღონისძიებები და მისი რესოციალიზაცია უფრო მარტივია, ამ ეტაპზე მოძალადის რეაბილიტაციის ერთადერთ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო ჩანაწერი, კერძოდ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას“. მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული კურსის გავლა მოძალადისთვის იყოს სავალდებულო და პრაქტიკულად ხშირად ხორციელდებოდეს, რაც არსებით გარდატეხას შეიტანს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოგვარების საქმეში. ამასთან მოძალადის რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე მთლიანად სასამართლოსათვის არის მინდობილი, ვინაიდან დამცავ ორდერს მოსამართლე გამოსცემს. ვფიქრობ უკეთესი იქნება, თუ დამცავი ორდერის ზემოთაღნიშნული ჩანაწერი ასახვას ჰპოვებს შემაკავებელ ორდერთან მიმართებითაც, რადგან პოლიციელს უფლება უნდა ჰქონდეს ზემოქმედების სახით მოძალადეს განუსაზღვროს

[67] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, 2017, გვ.186

[68] ევროსასამართლოს საქმე - Rumor v. Italy 2014წ.

[69] იგულისხმება კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

[70] მესხი მ., და ავტ. კოლ., სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, 2010 გვ.30

ძალადობრივი ქცევის შეცვლისკენ მიმართული კურსის გავლა და მეტიც, მას უნდა შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს კონკრეტული მოძალადისათვის ინდივიდუალური კურსის განსაზღვრისა და დაგეგმვის პროცესში. ეს გამართლებულია პირველ რიგში იმით, რომ პრაქტიკაში გაცილებით უფრო მეტი შემაკავებელი ორდერი დგება, ვიდრე დამცავი და მეორე, პოლიციელს უშუალო შეხება აქვს მოძალადესთან. პოლიციის საუბნო სამსახურის მართლწესრიგის ოფიცრები მოსამართლესთან შედარებით უფრო კარგად იცნობენ ოჯახური ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ ოჯახებს, პოტენციურ მოძალადეებს, რითაც ინფორმირებული არიან როგორც მსხვერპლის, ისე მოძალადის საჭიროებების შესახებ. კერძოდ: თუ მართლწესრიგის ოფიცერმა იცის, რომ მოძალადე ალკოჰოლზე დამოკიდებულია, იგი მინიმუმ რეკომენდაციის სახით, მონაწილეობას მიიღებს მოძალადისთვის ინდივიდუალურად შემუშავებული სპეციალური პროგრამის შექმნაში, სადაც გათვალისწინებული იქნება ალკოჰოლ დამოკიდებულების კურსი, შესაბამისად აღსანიშნავია, რომ არ შეიძლება ყველა მოძალადე გადიოდეს არაძალადობრივი ქცევის ერთი და იმავე პროგრამას.[71] მეორე ფაქტორი, რაც გასათვალისწინებელია ადმინისტრაციული წარმოებისას არის ის, რომ უნდა გამკაცრდეს მოძალადის კონტროლი სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამის მაგალითად შესაძლებელია ჩაითვალოს მოძალადისთვის გარკვეული ღონისძიებების დაკისრება, რომლითაც ორდერის მოქმედების პერიოდში იქნება შეზღუდული[72]. მაგ. პოლიციაში გამოცხადების ვალდებულება, მსხვერპლთან შერიგების მედიაციის პროგრამაში ჩართვა და ა.შ. აღნიშნული ღონისძიებები ერთი მხრივ ხელს შეუწყობს მოძალადეზე კონტროლის განხორციელებას, ხოლო მეორე მხრივ მოწოდებული იქნება პრობლემის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზებით მოგვარებაზე, რათა მოძალადის მიერ აღარ მოხდეს ხელახალი ძალადობის ჩადენა. დღეს პრაქტიკაში მსჯავრდებულ მოძალადეებთან დაკავშირებით აქტიურად დგას ელექტრონული მონიტორინგის განხორციელების საკითხი, რომელიც სამომავლოდ დაგეგმილია, რომ გათვალისწინებულ იქნას, რაც ასევე მისასალმებელია.

---

[71] Brenda J. Simpson & Associates - Prevention and Early Intervention for Domestic Violence, 2014, გვ.49

[72] გოგუაძე ე., აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017, გვ.71-72

2.2. მსჯავრდებული მოძალადის რეაბილიტაცია

მოძალადის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ოჯახური ძალადობისთვის მსჯავრდებულ პირებთან მუშაობა. ოჯახში ძალადობისთვის კანონი აწესებს ორი სახის სასჯელს: თავისუფლების აღკვეთას და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. მოძალადესთან ურთიერთობა, როდესაც ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია, კიდევ უფრო რთული და მნიშვნელოვანია. ამ დროს ის განიცდის „ეტიკეტირებას" საზოგადოების მხრიდან[73]. მსჯავრდებული მოძალადის რეაბილიტაცია გულისხმობს არა მარტო მსჯავრდებული მოძალადის პიროვნების, მისი მსოფლმხედველობის შეცვლას, არამედ მის მიერ ძალადობის გაცნობიერებულ მონანიებას, რაც ნაწილობრივ მიიღწევა დაზარალებულთან შერიგებით. ოჯახური სახის დანაშაულებში, დაზარალებულის ემოციური მდგომარეობა მსჯავრდებულის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულია. ხშირ შემთხვევაში დაზარალებულებს არ აქვთ მოძალადის დასჯის სურვილი, არამედ სურთ მისგან განცალკევებით ცხოვრება, სიმშვიდე და დამოუკიდებლობა[74], თუმცა დაზარალებულთან შერიგება უპირობოდ არ გულისხმობს სასჯელის შემსუბუქებას, არამედ ეს წარმოადგენს ერთგვარად მოძალადის რესოციალიზაციის ერთ-ერთ წინაპირობას, ხოლო მოძალადის მიერ დანაშაულის გულწრფელი მონანიება დაზარალებულისთვის მორალური ზიანის კომპენსაციას. გასათვალისწინებელია, რომ მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის შესაძლებლობას კანონმდებლობა ითვალისწინებს არა მხოლოდ დამცავი ორდერის გამოცემის, არამედ ოჯახური დანაშაულისთვის პირობითი მსჯავრის დანიშვნის შემთხვევებშიც, ასევე პატიმრობის კოდექსით, რომლის 118-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირის რეაბილიტაციის მიზნით, სამსახურის ორგანიზებით ტარდება ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსები. ასეთივე შესაძლებლობას იძლევა: არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესის და პრობაციის შესახებ კანონი.[75] არაძალადობრივი ქცევის კურსი, ფართოდ გამოიყენება ევროპის არაერთ ქვეყანაში. აღნიშნული კურსი

[73] შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, 2011, გვ.160

[74] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (№367ა3-17)

[75] იხ. აღნიშნული კანონის 41[1] მუხლი

განსაკუთრებით კარგად გამოიყენება გერმანიაში.[76] კურსის ფარგლებში, ხდება სპეციალური ტრენინგების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს მოძალადეზე ზემოქმედებას და მისი ღირებულებების შეცვლას. კურსების ორგანიზება უზრუნველყოფილ უნდა იქნას სახელმწიფო უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ და შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. მისასალმებელია, თუ კი, სახელმწიფოსთან ერთად მოძალადისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების შეთავაზება მოხდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაც, როგორც ეს არაერთ ქვეყანაშია.[77] აუცილებელია ასევე, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების დანერგვა ოჯახში მოძალადეებისთვის. ზოგადად მოძალადე მსჯავრდებულზე, უნდა გავრცელდეს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ყველა ის პირობა, რაც დადგენილია პატიმრობის კოდექსით[78], თუმცა არაძალადობრივი ქცევის კურსის გავლა არის ძალადობრივი დანაშაულის პრევენციის თვისობრივი მახასიათებელი, რომელსაც კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის ჩანაწერით მიჩნევს ძალადობის პრევენციის ერთ-ერთ წინაპირობად. აღნიშნულთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებობს მთელი რიგი პრობლემები.]იშვიათია შემთხვევები, როდესაც განსაზღვრული იქნებოდა, რომ მოძალადეს ევალება გაიაროს ძალადობრივი ქცევის შეცვლისკენ ორიენტირებული სასწავლო კურსი და მან ეს შეასრულა. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნულ ჩანაწერს სასამართლო თითქმის არ იყენებს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ არ არსებობს დოკუმენტი სადაც გაწერილი იქნება, რას გულისხმობს მოძალადის სარეაბილიტაციო კურსი, რომელიც მიმართული იქნება ძალადობრივი ქცევის შეცვლისკენ და როგორ უნდა მოხდეს პროცედურულად მისი გავლა. ვფიქრობ აღნიშნული წარმოადგენს ხარვეზს. იმისათვის, რომ სარეაბილიტაციო კურსი განხორციელდეს, იგი უნდა იყოს მარტივი, დეტალური და უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოერგოს პროგრამაში ჩართული თითოეული მოძალადის საჭიროებებს. კანონმდებლობაში არსებობს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიუთითებენ მოძალადის სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე, თუმცა ამ კუთხით მოძალადის რეაბილიტაცია რეალურად იშვიათად ან არ ხდება, რაც ხელს უშლის ძალადობის პრევენციას და არღვევს მოძალადის უფლებას

[76] შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ.195-198

[77] მაგ. ბრიტანულ კოლუმბიაში. იხ. K. R. Rossiter - Domestic Violence Prevention and Reduction in British Columbia, 2011, გვ.36

[78] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, 2014, გვ. 79-81

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე. ჯერ კიდევ 2011 წელს დამტკიცდა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168[1] მუხლში შევიდა ცვლილება, რომელიც განრიდებულ პირს ავალდებულებს ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი, თუმცა დღემდე არ არის შემუშავებული მოძალადეთა რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში იქნება საქართველოს კულტურულ და სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გაუქმების შემდეგ მოძალადეებისთვის და შესაბამისი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირებისთვის აღნიშნული კურსის ჩატარების უფლებამოსილება სრულად გადაეცა იუსტიციის სამინისტროს, კურსის დეტალურად გაწერის გარდა მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს ჰქონდეს შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსი დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად, ვინაიდან მოძალადეთა რიცხვი შესაძლებელია ძალიან დიდი იყოს, რაც მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამასთან მოძალადეთა რეაბილიტაცია უნდა მოხდეს ეტაპობრივად, მათ მიერ განხორციელებული ძალადობის ხასიათიდან გამომდინარე.

§3. მოძალადეთა რეაბილიტაციის პროცესის აუცილებელი წინაპირობები

ოჯახში ძალადობის პრევენციაში სახელმწიფოს უდიდესი როლი უჭირავს. სწორედ სახელმწიფოა ვალდებული ძალადობა ფესვებშივე აღმოფხვრას. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ორგანო, რომელიც იმუშავებს რისკის ქვეშ მყოფ ოჯახებთან ძალადობრივი ჯგუფებთან. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ ალკოჰოლ დამოკიდებული პირები, კრიმინალური სუბკულტურის მქონე პირები, ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანები, ნაომარი ადამიანები.[79] ამასთან აუცილებელია, რომ მოხდეს ისეთ პირებზე აქცენტის გაკეთება ვისი გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია. ასეთი პირები არიან: პირველად ძალადობის ჩამდენი პირები, არასრულწლოვნები და სხვ. ამასთან სახელმწიფომ დროის და ფინანსური

[79] შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ.194

რესურსი სწორედ უნდა გაანაწილოს, რადგან მოძალადეებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რაც გამოწვეულია სარეაბილიტაციო პირების დიდი რაოდენობიდანაც. აქვე მისასალმებელია, რომ შეიქმნა ახალი სამსახური, სადაც არსებობს მართლწესრიგის ოფიცრის თანამდებობა, რომელიც სწორედ ოჯახში ძალადობის პრევენციის კუთხით იმუშავებს, თუმცა ოჯახში ძალადობის პრევენციის განხორციელება აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებშიც. საქართველოში ასეთი სახის პრევენცია ნაწილობრივ მიმდინარეობს. ძალადობის პრევენცია სათანადოდ არ მიმდინარეობს სკოლებში, მაშინ, როდესაც განათლების სამინისტროს აღნიშნული ვალდებულება აღებული აქვს საზოგადოების წინაშე წვლილი შეიტანოს ოჯახში ძალადობის პრევენციაში.[80] ასევე აუცილებელია ხშირად ტარდებოდეს საინფორმაციო კამპანიები მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით კი რეგიონებში, სადაც ოჯახური ძალადობის რიცხვი გაცილებით მაღალია.[81] რაც შეეხება მასმედიას, მასმედია მოწოდებული უნდა იყოს, რომ ძალადობის პრევენციის მიზნით, იკისროს აღმზრდელობითი ხასიათის ვალდებულება საზოგადოებაზე,[82] მითუმეტეს მაშინ, როდესაც 21-ე საუკუნეში მასმედიის როლი ორმაგად გაზრდილია.

დ ა ს კ ვ ნ ა:

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ ოჯახში ძალადობასთან, როგორც სამართლებრივ და სოციალურ პრობლემასთან ბრძოლის და მისი პრევენციის ძირითადი გზები და პრობლემატიკა. დავახასიათეთ საკანონმდებლო დონეზე და პოლიციის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში არსებული ხარვეზები და სირთულეები.

ნაშრომში ნათლად იყო გადმოცემული, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერები გარკვეულწილად პრობლემურია და მათი პრაქტიკაში გამოყენება განმეორებითი ძალადობის პრევენციის მიზნით დიდ ყურადღებას საჭიროებს,

[80] ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, გვ.14

[81] იხ. შსს-ის 2018 წლის სტატისტიკა ოჯახური დანაშაულებისთვის (https://www.police.ge)

[82] შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012, გვ.198-200

განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ხარვეზიანია განმეორებითი ძალადობის რისკის განსაზღვრის მექანიზმიც.

ასევე ნაშრომში გამოკვეთილ იქნა ოჯახში ძალადობის საქმეების ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი წარმოების პრობლემები, კერძოდ დახასიათებული იქნა, თუ რა უშლის ხელს ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე გასულ პოლიციის თანამშრომლებს გამოავლინოს და სწორად წარმართოს ოჯახში ძალადობის შემთხვევები, რა სიტუაცია ხვდება მას შემთხვევის ადგილზე და რამდენად რთულია ოჯახში ძალადობის მონაწილე პირების სტატუსის, ძალადობის ფაქტისა და სახის დადგენა, ასევე მტკიცებულებათა შეგროვება ოჯახში ძალადობის საქმეებზე, იმ პირობებში როდესაც არ არსებობს ერთი კონკრეტული სახელმწიფო ორგანო, რომელიც იქნება უფლებამოსილი ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოებაზე.

ნაშრომში განხილული იქნა, რომ ოჯახში ძალადობის პრევენცია აქტიურად საჭიროებს საზოგადოების და მედიის ჩართულობას. აუცილებელია პოლიციისადმი ნდობის ამაღლება, რაც მეტწილად პოლიციის მაღალი საკადრო კვალიფიციურობით და პოპულარიზაციით მიიღწევა. ამასთან ოჯახში ძალადობის პრევენცია გულისხმობს დიდი ცვლილებების განხორცილებას კულტურულ-ტრადიციული მანკიერებების აღმოფხვრის კუთხით.

ნაშრომის ფარგლებში ავტორის მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა პრაქტიკულ საქმიანობაზე დარყდნობით, რაც გულისხმობდა ოჯახში ძალადობის შემთხვევების კრიმინოგენულ შესწავლას და მოიცავდა დაკვირვების, ანალიზისა და გამოკითხვის გზით ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მდოგმარეობის აღწერას, მსხვერპლის დახასიათებას და მოძალადის ძალადობრივი ქცევის ახსნას, ასევე ოჯახში ძალადობის მაპროვოცირებელი სხვა გარემო ფაქტორების დახასიათებას საქართველოში.

და ბოლოს, ნაშრომში აშკარად არის გამოხატული ის აზრი, რომ ძალადობის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო ორგანოების მუშაობა მოძალადეზე, კერძოდ რეპრესიული ფუნქციების პარალელურად, აუცილებელია პოლიციის და სასამართლო ორგანოებმა მოძალადეს შესთავაზოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კონკრეტული გზები, რაც გულისხმობს მასზე მორგებული პროგრამების და აქტივობების დანერგვას და განხორციელებას არა მარტო საკანონმდებლო, არამედ პრაქტიკულ დონეზე, იმ პირობების გათვალისწინებით, რაც მოძალადეთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის აუცილებელი წინაპირობების კუთხით შეიძლება წარმოიშვას.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა :

ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016.
2. კ. ბოჭორიშვილი, მ. მესხი, ქ. ხუციშვილი, მ. ფერაძე, ნ. სააკაშვილი, ა. არღანაშვილი, ნ. შავლაყაძე, ნ. ზაზაშვილი, სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010.
3. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014.
4. მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია, 2011
5. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, 2017
6. მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, 2012.
7. მ. ტურავა, სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2013
8. ნუგზარ გაბრიჩიძე - საოჯახო კონფლიქტების შედეგად ჩადენილი ძალადობით დანაშაულობა, თბილისი, 2004
9. ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება, სამოქალაქო სამართლებრივი განათლება, ქალთა საინფორმაციო ცენტრი
10. ოჯახური ძალადობა (სტუდენტის სახელმძღვანელო) , სამოქალაქო სამართლებრივი განათლება, ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ 2006
11. რედ. გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007
12. რედ. თ.მოსიაშვილი - ხმა მდუმარეთა, თბილისი, 2011.
13. ზ.წულაია - კრიმინოლოგია, თბილისი, 2005.

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. A. Harvey, C. Garcia-Moreno, A. Butchart - Primary prevention of intimate-partner violence and sexual violence, 2007წ.
2. Barbara Cottrell - Making Changes, 2015წ.
3. Brenda J. Simpson & Associates - Prevention and Early Intervention for Domestic Violence, 2014წ.
4. Caroline Bettinger Lopez, Rachel Natelson and others - Domestic Violence in the United States, 2011წ.
5. Elaine J. Alpert, Reverend Al Miles, Vickii Coffey - Responding to Domestic Violence: An Interfaith Guide to Prevention and Intervention
6. K. R. Rossiter - Domestic Violence Prevention and Reduction in British Columbia, 2011წ.
7. Mary Barnish - Domestic Violence, 2004წ.
8. S.Kishor, K.Johnson - Profiling Domestic Violence, 2004წ.
9. T.L. Roleff – Domestic Violence, 2004წ.
10. World Health Organization – Violence Prevention The Evidence

სტატიები და პუბლიკაციები:

1. ბ. კოჭლამაზაშვილი, ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017
2. ელენე გოგუაძე - აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017
3. ლელა მეტრეველი - ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017
4. მ. მესხი, ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი #1, 2011
5. მ. მიშველაძე, სახელმწიფოს როლი ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან და პრევენციასთან მიმართებით, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი #1, 2011
6. რ. კოხოძე, მ. მაისურაძე, ე. მეშველიანი, მ. ჯაჯანიძე, ნ. ჯომარჯოძე, ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმწიფო

სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, #1, 2011

ნორმატიული აქტები:

1. კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, 2007 წ.
2. კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 30 ნოემბერი, 2018 წ.
3. კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 30 ნოემბერი, 2018 წ.
4. ,,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2007 წ.
5. პატიმრობის კოდექსი, 2010 წ.
6. საინფორმაციო ფურცელი, კანონპროექტისათვის “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში“ ცვლილების შეტანის თაობაზე. (№ 07-3/116 20.06.2013)
7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 წ.
8. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წ.
9. საქართველოს მთავრობის განკარგულება №406, ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ.
10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2000 წ.
11. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006 წ.
12. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2017 წ.
13. შსს მინისტრის ბრძანება „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“, 2018 წ

ანგარიშები, რეკომენდაციები, სტრატეგიები

1. მ. ჩიტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ლ. არუთინოვი, ლ. წულაძე, ს. ჩაჩანიძე, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2010
2. ნ. ჭაბუკიანი, გ. ჯიბლაძე, ნ. უბილავა, საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, 2014 წ.
3. საპარლამენტო ქსელი - ძალადობისგან თავისუფალი ქალები, ევროსაბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, 2015
4. საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე
5. საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წ.
6. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში - სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2015
7. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
8. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია)

ელექტრონული რესურსები:

1. https://www.reproductiverights.org/sites/crr.civicactions.net/files/newsletter/DV%20in%20the%20US_Br%20Paper%20to%20SR%20on%20VAW.pdf
2. https://webarchive.nationalarchives.gov.uk/+/http:/www.justice.gov.uk/inspectorates/hmi-probation/docs/thematic-dv-literaturereview-rps.pdf
3. https://dhsprogram.com/pubs/pdf/od31/od31.pdf
4. https://www.jibc.ca/sites/default/files/research/pdf/Domestic-violence-prevention-reduction_REPORT.pdf
5. https://www.who.int/violence_injury_prevention/violence/4th_milestones_meeting/evidence_briefings_all.pdf
6. https://www.calgarywomensshelter.com/images/pdf/Prevention&EarlyIntervention_DV_FCSSJune2014.pdf

7. http://www.demes.teimes.gr/spoudastirio/E-NOTES/D/Domestic_Violence_Viewpoints.pdf
8. https://www.familyministries.org/files/1.1.1.%20Responding%20to%20Domestic%20Violence%20An%20Interfaith%20Guide.pdf
9. http://www.juniperhouse.ca/files/123271796.pdf

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის განაჩენი (N1/194-17)
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 08 სექტემბრის განაჩენი (N1/2594-16)
3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის განაჩენი, საქმე #1-217-16
4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 1 ნოემბრის განაჩენი, საქმე #1/487-17
5. თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განჩინება. (N3-ბ-1293-16)
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენი (№1/ბ-1001-17)
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება (№109აპ-18)
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (№367აპ-17)
9. ევროსასამართლოს საქმე - Bevacqua and S. v. Bulgaria, 2008წ.
10. ევროსასამართლოს საქმე - Munteane v. Moldova, 2011წ.
11. ევროსასამართლოს საქმე - Opuz v. Turkey, 2009წ.
12. ევროსასამართლოს საქმე - Talpis v. Italy, 2017წ.
13. ევროსასამართლოს საქმე - E.S. and Others v. Slovakia, 2009წ
14. ევროსასამართლოს საქმე - E.M. v. Romania, 2012წ.
15. ევროსასამართლოს საქმე - D.P. v. Lithuania, 2013წ.
16. ევროსასამართლოს საქმე A. v. Croatia, 2010წ.
17. ევროსასამართლოს საქმე - Rumor v. Italy 2014წ.
18. CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილება - A.T. v. Hungary, 2005წ.

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი – „ოჯახში ძალადობის პრევენცია და მოძალადის რეაბილიტაცია“ (Domestic Violence and Reabilitation of Offender) ასოცირებულ პროფესორ მორის შალიკაშვილის ხელმძღვანელობით შევასრულე დამოუკიდებლად და მითითებული ლიტერატურის გარდა სხვა ლიტერატურა არ გამომიყენებია,

მაგისტრანტი,

ნიკა ხარშილაძე